# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმიდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 2013 წელი.

№37 (7164)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## კანონი ყველასთვის კანონად უნდა დარჩეს!

### ბიძინა ივანიშვილის მიმართვა მიხეილ სააკაშვილს

....გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას.



2

## გადავარჩინოთ უნივერსიტეტი!



3

## სიხარული და სევდა მკურნალისა

### პროფესორ აკაკი ნადარეიშვილის დიდი გზა



7



## სააკაშვილმა ტყუილშიც დაკარგა კვალიფიკაცია...

4

## 1. მეხი „მორწმუნდილ“ ცაზე



გამოცხადებულ გადადგომათა ქრონიკები

8

## 100 ბლეფი

11

## აქცია ჩინურ კომპანია „ხუალინთან“

### რატომ ჩუქნიდნენ საქართველოს მოქალაქეები თავიანთ ქონებას სახელმწიფოს?

2

## „კლასიკოსების“ რვა ჯილდო



10

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გზად მომავლისკენ!

# კანონი ყველასთვის კანონად უნდა დარჩეს!

## ბიძინა ივანიშვილის მიმართვა მიხეილ სააკაშვილს

ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი. თქვენს პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის ვხედავ სულ უფრო მზარდ უფსკრულს, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც კი, და ამიტომ მოგმართავთ.

კიდევ იმიტომ მოგმართავთ, რომ არ ვთვლი ქვეყნისთვის სასურველ მოვლენად თქვენს გუნდთან ერთად განვლილი 9 წლის სრულ დისკრედიტაციას. ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას.

ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწვალობ ამდენს და ვცდილობ, დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ.

ამიტომ შემოგთავაზეთ დეკემბრის ბოლოს ისეთი საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელზე დათანხმებაც თქვენთვის ყველაზე მარტივი იყო (შეგეძლოთ „პიარქულებიც" კი იქით ჩაგეწერათ). საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თქვენი პარლამენტში გამოსვლის გადავადება — არ გვინდოდა, ის დღე გამხდარიყო წყალგამყოფი. ამიტომ წამოვედით მოლაპარაკებებზეც და ინიციატივის ხელში აღებაც კი შემოგთავაზეთ კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულით. ამიტომ ვთანხმდებოდი ამნისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის.

მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს ააღებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადუღაბოთ" თქვენი რიგები.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ, ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ — ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას.

მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა. მაგრამ ახლა საქმე რომელიმე „საკითხს" არ ეხება. კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ — მომავლისკენ, თუ უკან — წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ"-ს და „დღეს არა, ხვალ"-ს.

რა ელით მათ, ვინც წარსულს აირჩევს? განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო შეფასებისა. რა ელით მათ, ვინც მომავალს აირჩევს? ასევე განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო დაფასებისა.

პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება.

რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან განთავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის.

**პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. თქვენი წინმსწრები მკაფიო პასუხი კი იმიტომ არის საჭირო, რომ პოსტფაქტუმ არ დაიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ თქვენც მხარს უჭერდით ამ ცვლილებას, ისევე, როგორც დღეს ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ.**

ინფორმაცია

### გაიხსნება „რეჟიმის მსხვერპლთა მუზეუმი"

**ორთაჭალის ე.წ. კრიტში „რეჟიმის მსხვერპლთა მუზეუმი" გაიხსნება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძემ განუცხადა.**

**მისივე განმარტებით, ყოფილი ციხის გარკვეულ ნაწილში მუზეუმის გახსნის თაობაზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.**

**— ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მინისტრთან, რათა იქ მუზეუმი გაკეთდეს. ბუნებრივია, მთელი ფართის დათმობას ვერ მოვითხოვთ, მაგრამ სავარაუდოდ, რამდენიმე საკნის გამოყოფა მოხდება. ვფიქრობ, იქ განთავსდება, ერთი მხრივ, პატიმართა წამების იარაღები, კადრები, რომლებიც საზოგადოებამ ნახა, მეორე მხრივ კი იმ გარდაცვლილი მსჯავრდებულების ფოტოები, რომლებიც პენიტენციური სისტემის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. სავარაუდოდ, ამ ყველაფერს რამდენიმე საკანი დაეთმობა, იმდენი, რასაც დაიტევს მათი გარდაცვალების ისტორიები, — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.**

**მისივე განმარტებით, „რეჟიმის მსხვერპლთა მუზეუმში" მთლიანად შენარჩუნდება ის რეალობა, რაც ყოფილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებობდა.**

კანონმდებლები

### დასუფთავება და ელექტროენერგია ივნისიდან „განქორწინდებიან"

**დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადების განცალკევება 1 ივნისიდან არის გათვალისწინებული. როგორც კანონპროექტის ავტორმა, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განმარტა, საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიაზე მიბმას კრძალავს, პირველი მოსმენით უკვე განხილულია, კენჭისყრაზე არაუგვიანეს აპრილის პირველ კვირაში გავა, ხოლო მისი ამოქმედება 1 ივნისიდან არის გათვალისწინებული.**

დასუფთავების გადასახადი სულადობით განისაზღვრება. იმის მიუხედავად, ოჯახში რამდენი ადამიანი ცხოვრობს, სულადობის ზედა ზღვარი 4-ით განისაზღვრა, ხოლო მოსაკრებელის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე თვეში სამ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

— მაქსიმალური ზღვარი არის სამი ლარი, თუმცა ანონსში ჩავდეთ ვალდებულება სოციალურად განსხვავებული ტარიფის, იმის მიხედვით, ოჯახი რა კატეგორიის არის. განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ თვითმმართველობამ ნებისმიერი ტარიფი, რომელსაც გამოიყენებს, უნდა დაასაბუთოს ხარჯების მიხედვით. კანონში ისედაც იყო ეს ჩანაწერი, მაგრამ არავინ არასდროს ითხოვდა, რომ მოსაკრებელი უნდა გამოითვლებოდეს არა აბსტრაქტულად, არამედ ხარჯების შესაბამისად, თუმცა მერია ყოველთვის უარს ამბობდა ამ ხარჯების წარმოადგენაზე, — განაცხადა ხიდაშელმა.



დასუფთავების ტარიფს თვითმმართველობა განსაზღვრავს. ხიდაშელის თქმით, მაისში დედაქალაქის საკრებულომ ამის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და 1 ივნისამდე თვითმმართველობიდან ცნობილი უნდა გახდეს, თუ რამდენი იქნება ერთ სულ მოსახლეზე დასუფთავების გადასახადი.

ინტერპრესი

ალიან-ჩალიანი

### რატომ ჩუქნიდნენ საქართველოს მოქალაქეები თავიანთ ქონებას სახელმწიფოს?

**უახლოეს მომავალში საზოგადოებისთვის ძალიან ბევრი საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის შესახებ გახდება ცნობილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაღალჩინოსნების მხრიდან.**

**ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. მისი თქმით, საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის ძიების კუთხით 2004-2012 წლებში ათასობით შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც მოქალაქეებმა ქონება სახელმწიფოს „აჩუქეს".**

**— ჩვენი მოვალეობაა მსგავსი ფაქტები გამოვიკვლიოთ. გამოვლენილია 9560 შემთხვევა, რომლის დროსაც მადლიერმა საქართველოს მოქალაქეებმა ქონება აჩუქეს სახელმწიფოს. რამდენიმე ათეული ასეთი გამოძიება უკვე მიმდინარეობს და ეს საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. ის, რისი გამოძიებაც წამოვიწყეთ, ზღვაში წვეთია. ძალიან მალე სხვადასხვა ამ ტიპის, თუ კატეგორიის დანაშაული გახდება ცნობილი მას შემდეგ, რაც დაიწყება არსებითი განხილვები და ღიად გამოჩნდება ყველაფერი, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა. მისი თქმით, არსებითი განხილვების დროს, რომელზეც საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის საქმეები იქნება განხილული, პროკურატურა მაქსიმალური საჯაროობისთვის მზად არის.**



**— ჩვენი მხრიდან იქნება სრული დეპოზიტი, რათა წარმოჩინდეს ვინ მიჩქმალა აღნიშნული დანაშაული. ამ ეტაპზე ხუთი მინისტრი და ერთი ქალაქის მერი გვყავს პასუხისგებაში მიცემული, — განაცხადა კბილაშვილმა.**

### რატომ არ დააპატიმრეს უგულავა?

**პროკურატურამ გიგი უგულავასთვის პატიმრობა შემდეგი მიზეზების გამო არ მოითხოვა — არ სურდა, საქმეს პოლიტიკური ელფერი შესძენოდა; არჩეულ მერს პატივი სცა; პროკურატურის თვითმიზანი გიგი უგულავას, როგორც დედაქალაქის მერის გისოსებს მიღმა ყოფნა არ არის -— ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**თუმცა, არჩილ კბილაშვილი არალოგიკურს უწოდებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე გიგი უგულავას აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა.**

**— როდესაც დედაქალაქის მერი იმხილება 20 მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვაში, მისი მერობა უკვე სახიფათოა. იქიდან გამომდინარე, რომ წარსულში აქვს ჩადენილი თანხის გაფლანგვა, შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ კიდევ ჩაიდინოს ასეთი ქმედება, — განცხადა არჩილ კბილაშვილმა, რომლის თქმითაც, ეს საფრთხე თავისთავად ნიშნავს, რომ პროკურატურის მოთხოვნა დასაბუთებული იყო.**

**მთავარმა პროკურორმა საგამოძიებო უწყების მხრიდან სასამართლოსთან დაყენებულ კიდევ ერთ შუამდგომლობაზე გააკეთა კომენტარი, რომლის მიხედვითაც, გიგი უგულავას კვირაში ერთხელ საგამოძიებო ორგანოში მისვლა უნდა დავალებოდა, რაც სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია. — როდესაც გიგი უგულავას დაკითხვას დიდი ხნის განმავლობაში ვითხოვდით და იგი ამის წინააღმდეგი იყო, სასამართლომ თვითონ დაავალა სამართალდამცველებს უგულავას დაკითხვაზე იძულებით მიყვანა, ახლა კი როდესაც ჩვენ ვითხოვთ, რომ იგი კვირაში ერთხელ გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში, სასამართლო ამ მოთხოვნას უწოდებს დაუსაბუთებელს, რაც ასევე არ ექვემდებარება ლოგიკას, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, პროკურატურა გიგი უგულავასთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.**

### რას ედავებიან მოსამართლეებს?

**პროკურატურა სამ მოსამართლესთან დაკავშირებით გამოძიებას ატარებს, - ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა მედიასთან შეხვედრისას განაცხადა.**

**როგორც მან აღნიშნა, ორი მოსამართლე უზენაესი სასამართლოში მუშაობს. რაც შეეხება გამოძიების მიზეზს, როგორც კბილაშვილმა განმარტა, ერთ-ერთმა მოსამართლემ, პირს პატიმრობა იმ პირობებში შეუფარდა, როდესაც ის ამნისტირებული იყო. მთავარი პროკურორის განმარტებით, ეს უკანონო პატიმრობაა და პროკურატურა ამ მოტივით დაინტერესდა აღნიშნულ მოსამართლესთან დაკავშირებით.**

**რაც შეეხება დანარჩენ ორ მოსამართლეს, რომლებიც უზენაეს სასამართლოში მუშაობენ, კბილაშვილის თქმით, გამოვლინდა, რომ მათ არ აქვთ იურიდიული განათლება.**

**— როდესაც კონსტიტუციაში წერია, რომ პირს, რომელიც მოსამართლედ მუშაობს, იურიდიული განათლება უნდა ჰქონდეს და ორი მოსამართლე ამ განათლების გარეშე მუშაობს. პროკურატურა დაინტერესდა, თუ ვისი გადაწყვეტილებით მუშაობენ ისინი მოსამარათლეებად. ეს იგივეა, რომ ექიმს არ ჰქონდეს სამედიცინო განათლება. ამ ფაქტებს სჭირდება გამოძიება, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.**

### დათა ახალაიას სასამართლო 28 მარტისთვის გადაიდო

**საქართველოს შსს-ს კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას სასამართლო პროცესი 28 მარტისთვის გადაიდო, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ახალაიას ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, დათა ახალაია ამ ეტაპზე საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს.**

**ადვოკატის განმარტებით, პროცესის გადადება ორი თვით, პროკურატურამ საგამოძიებო ვადის გაზრდის მოტივით მოითხოვა, თუმცა სასამართლომ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და წინასასამართლო სხდომა 28 მარტისთვის ჩაინიშნა.**

**— მიმაჩნია, რომ დათა ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო. გამოძიება ამაოდ ცდილობს, მოიპოვოს გამამტყუნებელი მტკიცებულებები ახალაიას წინააღმდეგ. ახალაიას პოზიცია ჩემთვის სრულად და ამომწურავად არის ცნობილი. ამ ეტაპზე იგი საქართველოში დაბრუნებისაგან თავს იკავებს, იქიდან გამომდინარე, რომ მის მიმართ უსამართლოდ ხორციელდება პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი დევნა, — განაცხადა ირაკლი ზაქარეიშვილმა, რომლის თქმითაც, დათა ახალაიას პროცესი 22 თებერვლისთვის იყო ჩანიშნული.**

**დათა ახალაია და კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნები უფლებამოსილების გადამეტებაში, კერძოდ პოლიციელების ცემაში არიან ბრალდებული. დათა ახალაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთაშიც ედება ბრალი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



# გადავარჩინოთ უნივერსიტეტი!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ბიძინა ივანიშვილს,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს**

**ასლი:**

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ გიორგი მარგველაშვილს,
პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ივანე კიღურაძეს**

**ბატონებო,**

მოგმართავთ **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი ვითარების გამო**.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ქართული განათლების ფლაგმანი და საერთაშორისო დონის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება. დღიდან დაარსებისა იგი წარმართავდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. **უნივერსიტეტში დღეს შექმნილი სავალალო ვითარება ხელისუფლებისაგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.**

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია **„ქართული ოცნების“ გამარჯვებამ** დიდი იმედი გააჩინა იმისა, რომ **საქართველოში აღდგებოდა კანონიერება და სამართლიანობა**. კარგია, რომ ეგ პროცესი დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, **კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერჯერობით არ შეხებია**...

შევეცდებით აღვადგინოთ წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებათა მოკლე ისტორია:

**„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იმთავითვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა**. მიზეზი: უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა; ამიტომ დაისახეს მიზნად ამ ძალის განეიტრალება, რათა ხელში აეღოთ საზოგადოების მართვის სადავეები. „ვარდების რევოლუციამდე“ (2002 წლიდან) დაიწყო გეგმაზომიერი ბრძოლა უნივერსიტეტის წინააღმდეგ...

ხელისუფლება განსაკუთრებით აღაშფოთა უნივერსიტეტის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ განსახილველად შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ: 2004 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (დამტკიცდა წლის ბოლოს). 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ დაიწუნა კანონპროექტი. ამის გამო პირველი შეტევა მ. სააკაშვილმა „წითელ პროფესურაზე“, „კორუმპირებულებზე“, „უსინდისოებზე“ განახორციელა 2004 წლის 28 სექტემბერს ცხრუკვეთიდან. ამას მოჰყვა კ. ლომაიასა და მისი გუნდის მასშტაბური შეტევა უნივერსიტეტზე.... მინისტრმა კ. ლომაიამ საჯაროდ დაიქადნა: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო“...

2004 წლის 31 ოქტომბერს აიძულეს რ. მეტრეველი, გადამდგარიყო რექტორობიდან და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს უნივერსიტეტისათვის უცხო პირი – რ. ლორთქიფანიძე; იგი 13 დეკემბერს ხელისუფლების აქტიური ჩარევით აირჩიეს რექტორადაც...

2005 წლის იანვარში ძალაში შევიდა ახალი კანონი და დაიწყო ხანგრძლივი უკანონობის პერიოდი:

1. უკანონოდ შეაჩერეს დიდი საბჭოს ფუნქციონირება... გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად.

2. გაუქმდა ყველა კათედრა.

3. ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა საბაბით შეაერთეს ფაკულტეტები; ეს მოხდა გაუაზრებლად, სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლად. ამ შეერთების უარყოფით შედეგებზე ბევრი ითქვა; ისიც ითქვა, ბოლონია არაფერ შუაშიაო...

4. 2005 წელს საბიუჯეტო **დაფინანსება მოეხსნა** უნივერსიტეტის **სამეცნიერო სექტორს**. დაიხურა ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კაბინეტი, სამეცნიერო ცენტრი; ვანდალურად განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ბიბლიოთეკები... უმუშევარი დარჩა 1500-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი. ამით **განუზომელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებასა და განათლებას**...

5. არნახული ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი შეიქმნა **აკადემიური სექტორი.** იმჟამად აკადემიური კონკურსების გამოცხადება და ჩატარება იყო ახლადმიღებული კანონის რამდენიმე პუნქტის უგულებელყოფა (დაირღვა უმაღლესი განათლების **კანონის 89-ე მუხლის I და მე-11 პუნქტები; 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 34-ე მუხლის I და მე-3 პუნქტები**...)...

**კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი**: „რეფორმამდე“ უნივერსიტეტში აკადემიურ სექტორში იყო 4000-ზე მეტი თანამშრომელი; განათლების მინისტრის უშუალო მოთხოვნით კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე; აკადემიური სექტორი შემცირდა თითქმის 5-ჯერ; სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შემცირება შეეხო მხოლოდ 3-4%-ით!.. (ეს იყო მინისტრ კ. ლომაიას „შურისძიება“ უნივერსიტეტისადმი: პირველად, 2005 წელს, უნივერსიტეტში კონკურსი გამოცხადდა თითქმის იმავე რაოდენობაზე, რაც იყო კონკურსამდე; უნივერსიტეტმა პროტესტი გამოთქვა ამ უკანონო კონკურსის გამო; ამ პროტესტით გაღიზიანებულმა მინისტრმა გააუქმა გამოცხადებული კონკურსი და დაევალა რექტორს რ. ლორთქიფანიძეს, 700 ერთეულზე გამოეცხადებინა ახალი კონკურსი. რ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგობა გახდა რექტორის თანამდებობიდან მისი გაშვებისა და გ. ხუბუას დანიშვნის მიზეზი.)

6. ამ კონკურსების შედეგად გაუქმდა ტრადიციული დარგები, გაქრა სპეციალობები... ორიოდე კონკრეტული მაგალითი: 2006 წლამდე ფიზიკის ფაკულტეტზე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო; კონკურსი გამოცხადდა 23 ადგილზე (ეს რომ გაუთვლელი შემცირება იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო გახდა დამატებით 100 მასწავლებლის მოწვევა...)! 2005 წელს ძველი ქართული ენის კათედრაზე 23 თანამშრომელი იყო, ამჟამად მხოლოდ 3 თანამშრომელია (მათ შორის მხოლოდ ერთია ქართული ენის გრამატიკის სპეციალისტი!) და სხვა... ესეც არის **უდიდესი დანაშაული ქართული განათლებისა და მეცნიერების წინაშე**...

სწორედ ამის გამო თქვა იმჟამად პარლამენტარმა **დ. ზურაბიშვილმა: „ის, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, კანონთან არანაირ კავშირშია. ეს არის თვითნებობა“.**

საგანგებო მსჯელობის საგანია უნივერსიტეტის **ყოფილი რექტორის გ. ხუბუას** მიერ ჩადენილი უამრავი უკანონობა და უსამართლობა; ფაქტობრივ, მთელი მისი საქმიანობა იყო უნივერსიტეტზე განხორციელებული ძალადობისა და შეურაცხყოფის არნახული მაგალითები...

პროფესორ-მასწავლებლების მთავარი მოთხოვნა იყო – **„რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში“.** ამ მოთხოვნას გ. ხუბუამ პოლიცია დაუპირისპირა: 2006 წლის 19 და 20 ივნისს მან პოლიცია შემოიყვანა უნივერსიტეტში და პროტესტის გამომხატველი პროფესორები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა გ. ხუბუას მოქმედებამ 2006 წლის 3 ივლისს: უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელ გ. ხუბუას და მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. **უნივერსიტეტში ისევ პოლიცია შემოიყვანეს** და რექტორის კაბინეტში სასაუბროდ შესული პროფესურა იძულებით გამორეკეს გარეთ; პროფესურამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოხდა **ადამიანის უფლებების არნახული დარღვევა**: პოლიციის მეშვეობით ჩაკეტეს ყველა კარი (გასასვლელი წყლისაკენ, ტუალეტებისაკენ; ამოქოლეს კარ-ფანჯრები; არავის აძლევდნენ საშუალებას, გარედან მიეწოდებინათ წყალი, საჭმელი. სააქტო დარბაზში შეკრებილებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ამის შესახებ უამრავი მასალაა იმჟამინდელ პრესაში, ტელეარქივებში)... 3 ივლისს შემოყვანილი პოლიცია უნივერსიტეტში დატოვეს თითქმის ორი თვე და ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმი შექმნეს; პოლიციას გადაეცა რეფორმასთან დაპირისპირებული პროფესორების სიები და მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა...

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: მსგავსი რამ მხოლოდ **1939 წელს მოხდა**, როცა **ფაშისტებმა კრაკოვის უნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები**.. ესეც გავიხსენოთ: 2007 წლის იანვარში ათენის ქუჩებში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები იყო. პოლიციისაგან შევიწროებულმა სტუდენტობამ უნივერსიტეტის ეზოს შეაფარა თავი და პოლიციამ იქ შესვლა არ იკადრა! და რაც მთავარია, უნივერსიტეტის ეზოში შესვლა ვერ გაბედეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა!..

სიტყვიერი დაპირისპირებისათვის **გ. ხუბუამ** რექტორად მოსვლის პირველივე დღეებში **დააჭერინა და საპატიმროში ჩაასმევინა** განსხვავებული აზრის მქონე **პროფ. გ. შარაძე**.

**გ. ხუბუას მოთხოვნით** საუნივერსიტეტო მოძრაობის ინიციატორები ატარეს პროკურატურაში, როგორც დამნაშავეები; შემდეგ **9 მათგანი გაასამართლეს „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით** (სარჩელი ამჟამად სტრასბურგის სასამართლოში განიხილება)...

არაერთგზის დაიწერა იმ **ფინანსურ კანონდარღვევებზე,** რაც უნივერსიტეტში ხდებოდა „რეფორმის“ პერიოდში (იხ. მაგალითად, გაზეთი „ქრონიკა“ № 39, 2006 წ.); **სახელმწიფო ქონების მართვის არაეფექტიანობაზე;** სამართლებრივი შეფასება არ მისცემია თუნდაც იმ ფაქტებს, რის გამოც გაუშვეს უნივერსიტეტიდან გ. ხუბუა (მოპარული უნიკალური წიგნები; არასწორად ჩატარებული ტენდერები ა.შ.); ცალკე თემაა ამ პერიოდში გამოვლენილი **ნეპოტიზმის შემთხვევები; არასწორი დანიშვნები;** კანონდარღვევით ჩატარებული და **გაყალბებული კონკურსები** (2006, 2009, 2012 წლებში; არსებობს სასამართლოზე აღიარებული ფაქტები); გახმაურებული ამბავი **უკანონოდ გაცემული დიპლომებისა...**

ყოველივეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება. გავხაზავთ: თითქმის **ყველა უკანონობაზე საუნივერსიტეტო საზოგადოება ახდენდა სამართლებრივ რეაქციას**: მომზადდა არაერთი **სარჩელი,** რომლებიც განიხილეს **საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებმა;** სარჩელების უმრავლესობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სამ საქმეს ამჟამად **სტრასბურგის სასამართლო** განიხილავს...

ამ ფონზე საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის **სრულიად მოულოდნელი იყო უნივერსიტეტში გ. ხუბუას დაბრუნება;** მეტიც, მას გაუხსნეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი... ეს კი გარკვეულ ეჭვს აჩენს უნივერსიტეტის სასიკეთო პერსპექტივისას...

**ბატონებო,**

აუცილებელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტში აღდგეს კანონიერება და სამართლიანობა**; უნივერსიტეტს დაუბრუნდეს ის ფუნქცია და ღირსება, რომელიც მას ჰქონდა და „რეფორმატორთა“ ინტერესებს შეეწირა. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, **შეიქმნეს კომპეტენტური კომპლექსური კომისია,** რომელიც შეისწავლის 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, არსებულ კანონდარღვევებს (მათ შორის ფინანსურს), სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობასა და **მოახდენს ყოველივეს პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას (იმის** გათვალისწინებით, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ამას ქვეყნისთვის); დაისმება ყველა დამნაშავის სამართლებრივი თუ მორალური პასუხისმგებლობის საკითხი.

ასევე, უნივერსიტეტის ტრადიციული სახის აღსადგენად და მნიშვნელობის დასაბრუნებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაწესდეს **გარდამავალი პერიოდი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, **შეიქმნას დროებითი მმართველობა,** რომელიც დეტალურად **შეისწავლის და ობიექტურად შეაფასებს არსებულ ვითარებას; შეიმუშავებს უნივერსიტეტის გადარჩენისა და განვითარების გზებს; მოამზადებს საფუძველს უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის დასამკვიდრებლად.**

**„ქართული აკადემია“;
„საუნივერსიტეტო დარბაზი“;
„სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“;
„უნივერსიტეტელი“**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „გადატრიალების“ მოლოდინში?

## კახა კუკავა: სააკაშვილმა ტყუილშიც დაკარგა კვალიფიკაცია...



**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და თეორიულადაც კი, შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ ისეთი სცენარი, რომლითაც მოხდება მისი გაცოცხლება. For.ge კახა კუკავას ესაუბრა.**

**— ბოლო დროს ნაციონალებმა მაღალჩინოსანთა დაკითხვების გამო დესტაბილიზაციის საშიშროებაზე საუბარს მოუხშირეს. თქვენ თუ ხედავთ დესტაბილიზაციის საფრთხეს?**

— რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, თუმცა, რამდენად იქნება ეს სისტემური დესტაბილიზაცია, დამოკიდებული იქნება ახალი ხელისუფლების ენერგიულ ქმედებებზე. თუ ხელისუფლებას ადეკვატური რეაქციები ექნება, ყველაფრის აღკვეთა შესაძლებელია. თუ ეს გაგრძელდა და გადაიზარდა უმართავ პროცესებში, ძალიან ცუდი იქნება. ამიტომ, რაც მალე მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“ ნეიტრალიზაცია, მით უკეთესი.

**— მაგრამ დესტაბილიზაცია არანაირად არ ნიშნავს სამოქალაქო დაპირისპირებას, სამოქალაქო დაპირისპირებას დროში უფრო ხანგრძლივვადიანი პრელუდია არ უძღვის?**

— შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ამის გამოცდილება გვაქვს საქართველოში, თუკი ხელისუფლების მხრიდან არ იქნება გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგმული. სანამ, ჯერ კიდევ აქვს ლეგიტიმაცია საზოგადოების მხრიდან, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი. თუ ეს ლეგიტიმაცია დაკარგეს, მერე ასეთი ნაბიჯების გადადგმა უფრო გართულდება.

**— რა იგულისხმება ამ გადამწყვეტ ნაბიჯებში?**

— აქ იგულისხმება „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ხელმძღვანელის დაპატიმრება და გასამართლება და ნაცმოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის დაშლა და პოლიტიკური ასპარეზიდან გაყვანა. ეს არის ნეიტრალიზაცია, რის შემთხვევაშიც, ისინი ვერ შეძლებენ ვერც ქვეყნის გადატრიალებას, ვერც ლოგინში გადატრიალებას. ხოლო, როცა ასეთი გაურკვევლობაა, რომ ერთს იჭერ, მეორეს არ იჭერ, მესამე კი აპროტესტებს, რა თქმა უნდა, ეს ქვეყნისთვის გარკვეულ რისკებს ქმნის.

**— ბოლოდროინდელ მოვლენებზეც მინდა გკითხოთ. გიგი უგულავას ფუნქციის შეთავსებას აპირებდა ვანო მერაბიშვილი. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კადრების სიმწირეა ნაციონალებში და ამიტომაც შეაჩერეს მერაბიშვილზე არჩევანი, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ მერაბიშვილის სახით საუკეთესო კადრი შეარჩიეს.**

— მე ვფიქრობ, მართლაც სუსტი დანიშვნა იყო. ალბათ, ეს გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღეს. როგორც სევდია უგრეხელიძე, ისე ვანო მერაბიშვილი, მე მგონი, ცოტა კომიკური არჩევანია. გამომდინარე იქიდან, რომ ყველას ესმის, სევდია უგრეხელიძე ვერანაირად ვერ იქნება ქალაქის ხელმძღვანელი და ის უნდა იყოს ბუტაფორიული ფიგურა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, თავისთავად, ის ოდიოზური ფიგურაა. მე ვიცნობ თბილისის მერიის მუშაკებს, ისინი არ არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სოდი და კუდი, სადაც მერაბიშვილს ჰქონდა ავტორიტეტი. აქ ძირითადად დასაქმებულნი არიან თბილისელები, მეტ-ნაკლებად განათლების მქონე სამოქალაქო კადრი, რომელთათვისაც ვანო მერაბიშვილი ოდიოზური ფიგურაა და მერაბიშვილის ხელმძღვანელად დანიშვნა მათთვის იქნება არა გამაერთიანებელი, არამედ გამაღიზიანებელი ფაქტორი.

**— ფიქრობთ, რომ ნაციონალებს აწყობთ კიდეც სამოქალაქო დაპირისპირება, რადგან ამ დღეებში გაჩნდა ასეთი განცხადებები - „უგულავა, არ დაუთმო თბილისი ივანიშვილს“. ხომ არ აქვთ მცდელობა, რომ სიტყვიერად მაინც დედაქალაქელები დაუპირისპირონ რეგიონებს?**

— არა, რადგან ახალ ხელისუფლებას უფრო მეტი მხარდაჭერა თბილისში ჰქონდა და აქვს დღესაც, ვიდრე რეგიონებში. სამოქალაქო დაპირისპირება, ყველა შემთხვევაში, დაეფუძნება არა იმას, რომ ხალხი გამოვა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ეს იქნება ორგანიზებული, კარგად შეფუთული რამ და ეს უფრო სამოქალაქო დაპირისპირების ილუზია იქნება. არ ვგულისხმობ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დაუპირისპირდება ახალ ხელისუფლებას. უბრალოდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ფინანსები, პროპაგანდის საშუალებები, აქვს პროვოკატორების საუკეთესო მასტერკლასები და ამ თვალსაზრისით, შეუძლია, შექმნას ის, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გააკეთეს. იქ არანაირი ქართული საზოგადოება არ გამოსულა, მაგრამ შეიქმნა იმიტაცია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ძალიან მწვავე განცხადებები გააკეთა. ისინი 19 აპრილისთვისაც უფრო მასშტაბურ 8 თებერვალს გეგმავენ.

**— ანუ 19 აპრილსაც მსგავსი დაპირისპირება მოსალოდნელია?**

— ყველაზე რეალური სცენარი, რასაც გეგმავს „ნაციონალური მოძრაობა“, არის ის, რომ 19 აპრილის მოვლენები გადაიზარდოს პოლიციასთან შეტაკებაში, რის შემდეგაც სააკაშვილს ლეგიტიმური უფლება ექნება, დაითხოვოს პარლამენტი. ეს არის მათი ძირითადი გეგმა.

**— თანაც, ეს ყველაფერი ჰიტლერის დაბადების დღეს დაემთხვა.**

— რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითია, რადგან ყველა დღე ვიღაცის დაბადების დღეს ემთხვევა.

**— სააკაშვილი აცხადებს, რომ საერთოდ პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა. თუმცა, ამის შესახებ აქამდე ხმამაღლა არ ყოფილა გაჟღერებული. რამდენად გულწრფელი იყო ამ შემთხვევაში სააკაშვილი, რომელიც ირწმუნება, რომ არ სურდა, ეს გამხდარიყო მისი პოლიტიკური გუნდის მარცხის საფუძველი და რომ მისთვის საქართველოს რეპუტაცია ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი სხვა.**

— სააკაშვილმა დაიწყო ის თამაში, რომელიც თავიდანვე წაგებული იყო. უბრალოდ, ეს არის დიქტატორების ხერხი, რომ სანამ ისინი არიან კაბინეტებში, არასდროს არ ფიქრობენ, რომ როდესმე დამარცხდებიან. სააკაშვილზე უფრო დიდ დიქტატორებსაც მოსვლიათ ეს. ნაპოლეონსაც არ ეგონა აუსტერლიცის შემდეგ თუ როდესმე ამას ბოლო ექნებოდა, არც სტალინს ეგონა ეს და ძლიერი მმართველები, რომლებიც კაბინეტებში სხედან, ვერ იჯერებენ, რომ როდესმე ვიღაცა მათზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება. ეს იყო სააკაშვილის მიერ დაშვებული დიდი შეცდომა, როცა მან საქართველოში დაიწყო ავტორიტარიზმის მშენებლობა. ბევრი პოლიტიკური ოპონენტი და ექსპერტი აფრთხილებდა მას, რომ საქართველოში ავტორიტარული სახელმწიფოს მშენებლობის რესურსი არ არსებობდა, თუმცა მან ეს გააკეთა. მანამდე მსგავსი შეცდომა დაუშვა შევარდნაძემ და ვფიქრობ, დღეს იმავე შეცდომას უშვებს ივანიშვილი. ქვეყნაში სტაბილური შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალპარტიული სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს განახლების შესაძლებლობას. როგორც ადამიანის ორგანიზმის არსებობის საფუძველია ნივთიერებათა ცვლა, ისე განახლება ყოველთვის სჭირდება პოლიტიკურ პროცესს და პოლიტიკურ სისტემასაც. მსოფლიოში რაც კი ყველაზე უკეთესი სისტემა გამოგონილა, ეს არის მრავალპარტიული სისტემა, რომელიც პოლიტიკური ორგანიზმის განახლების საშუალებას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური ორგანიზმი ლპება. სააკაშვილმა თვითონ შექმნა ისეთი სისტემა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ განახლება შეუძლებელი იყო არა მარტო პრეზიდენტის დონეზე, არამედ ხალხის მიერ გამგებლის გადარჩევა და გადმორჩევა არ შეიძლებოდა და ამიტომაც დალპა ის სისტემა. ახლა ამას უკვე აცნობიერებენ ნაციონალები. ერთპარტიული, ერთპიროვნული, ერთპოლუსიანი პოლიტიკური სისტემისკენ მისწრაფებები ახლაც დამღუპველი იქნება. სააკაშვილს იმიტომ არ სჯეროდა მისი სისტემის დასასრულის, რომ თავის დროზე, ისიც ისეთივე პოპულარული იყო 2004-07 წლებში, როგორც დღეს არის „ქართული ოცნება“. დღესაც, როცა „ქართული ოცნების“ მიმართ გარკვეულ კრიტიკულ შენიშვნებს გამოვთქვამთ ხოლმე, ამბობენ, ჩვენ ხომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ ვართ, ჩვენ ხომ სუფთა ძალა ვართ. ნაციონალებიც სუფთა ძალა იყვნენ და ეს არ არის გამართლება. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, საბოლოო ჯამში, დალპება, თუ მას არ აქვს თვითგანახლების რესურსი. თვითგანახლების რესურსი მსოფლიოში მხოლოდ მრავალპარტიული სისტემაა. ამიტომ სააკაშვილის ამ მწარე გაკვეთილს, იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება გააცნობიერებს.

**— სააკაშვილი კორექტირებას ახდენს ადეიშვილის საქციელში და აცხადებს, ქვეყანა არ უნდა დაეტოვებინაო. ასევე, საინტერესო იყო ბიძინა ივანიშვილის შეთავაზება სააკაშვილის მიმართ, რომ აგრესიული რიტორიკის ნაცვლად, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ამნისტიის პროექტის წარმოდგენაზე ეფიქრათ, მაგრამ სააკაშვილმა პრემიერს უპასუხა, რომ უგულავა და მერაბიშვილი გმირები არიან და სიამოვნებით ჩასხდებიან ციხეში. რით ახსნით იმას, რომ სააკაშვილს არაფრად უღირდა მათი დაკავება?**

— პოლიტიკაში გადამწყვეტია დროის ფაქტორი. ის, რასაც ამბობს სააკაშვილი დღეს, ეს რომ ეთქვა ზუსტად ერთი წლის წინ, მას შეიძლება, არჩევნები მოეგო. მას შემდეგ, რაც უკვე ადეიშვილი გაქცეულია, იმის თქმა, რომ ადეიშვილს ჰქონდა შეცდომები, ეს არის არა პრეზიდენტის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, არამედ ესაა, როცა მხდალი და უღირსი ადამიანი წაქცეულს ურტყამს. სააკაშვილი მართლაც რაციონალური პრეზიდენტი, პრაგმატიკოსი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე იქნებოდა, სანამ ადეიშვილი იყო პროკურორის პოსტზე, მაშინ ეთქვა, რომ ეს ადამიანი ბიზნესში არ უნდა ერეოდეს და მივიღე გადაწყვეტილება, ის მოვხსნა და ამ პოსტზე სხვა დავნიშნოო. თუმცა, მას არ ეყო ამის უნარი. ახლა, როცა ადეიშვილი გაქცეულია და სადღაც რომელიღაც ჩირგვში იმალება, ძველი რიცხვით მის მიმართ კრიტიკის გამოთქმას არანაირი შედეგი არ აქვს. სააკაშვილი ახლა ნახევარ სიმართლეს ამბობს. ნახევრად სიმართლე კი ადამიანებს კიდევ უფრო აღიზიანებთ. ის ამბობს, თითქოს, გირგვლიანის მკვლელობა მისთვის დიდი პირადი ტრაგედია იყო. მეორე მხრივ კი აცხადებს, რომ ბაჩო და დათა ახალაიები გმირები არიან. ამიხსენით, ეს ორი რამ როგორ თანაარსებობს ერთმანეთთან?

**— ის, რომ სააკაშვილმა მერაბიშვილისა და უგულავას მისამართით თქვა, ისინი სიამოვნებით ჩასხდებიან ციხეშიო, ამ შემთხვევაში, „ერთი ბარტყი გადმომიგდეს“ პრინციპი მოქმედებს სააკაშვილზე?**

— სააკაშვილი ებღაუჭება ხელისუფლებას და გადაწყვეტილება მერაბიშვილისა და სევდია უგრეხელიძის დანიშვნის შესახებ არის მხოლოდ და მხოლოდ ჩაბღაუჭება. მე ვფიქრობ, მისი თამაში წაგებულია. ხომ ხდება ხოლმე, რომ რაღაც მომენტში რაღაცას უკვე აზრი აღარ აქვს. თეორიულად, ნაცმოძრაობის გადარჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე თუკი კიდევ შესაძლებელია, მიხეილ სააკაშვილის გადარჩენა შეუძლებელია, ის პოლიტიკური გვამია. თეორიულადაც კი, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სცენარი, როგორ მოხდება მისი გაცოცხლება. გაგახსენებთ, როცა ასევე დალპა შევარდნაძის სისტემა, მისმა გუნდმა თავი ასე გადაირჩინა - „ვარდების რევოლუციის“ დროს მოიშორეს შევარდნაძე, მისმა გუნდმა გააკეთა რებრედინგი და „მოქალაქეთა კავშირის“ ნაცვლად, დაირქვა „ნაციონალური მოძრაობა“ და ამით ასი წლით გაიხანგრძლივა არსებობა. ნაცმოძრაობასაც დღეს აქვს შანსი, გაემიჯნოს სააკაშვილსა და მისი გუნდის ყველაზე უფრო დამპალ ნაწილს. კრიმინალში შედარებით უფრო გაუსვრელ ადამიანებს უკვე სხვა სახელით და ცოტა შეცვლილი იდეოლოგიით შეუძლიათ, გააგრძელონ არსებობა. მაგალითად, თუ გიორგი ვაშაძე და თინა ბოკუჩავა ჩამოაყალიბებენ ისეთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის პროდასავლურ განვითარებაზე და თან, ივანიშვილს დაუპირისპირდებიან უფლებრივ და სამართლებრივ საკითხებში, ასეთ პოზიციას შეიძლება პერსპექტივა ჰქონდეს. როცა გამოდის ნუგზარ წიკლაური და სხვები და ბაჩო ახალაიას ტაშს უკრავენ, ასეთ პარტიას მომავალი არ აქვს, რადგან ბაჩო ახალაია არის იგივე, რაც ჯაბა იოსელიანი იყო ამ ქვეყნისთვის. პარტია, რომელიც ოფიციალურად ამბობს, რომ ჩვენი ლიდერი არის მკვლელი და ჩვენ მკვლელი ახალაია ბოლომდე უნდა დავიცვათ, უმომავლოა. ორივე ერთად არ გამოდის — თუ ბაჩო ახალაიას შენარჩუნება უნდათ, მაშინ ამომრჩეველს თავი უნდა დაანებონ და პირდაპირ გამოვიდნენ და ტყვია დაუშინონ ქართველ ხალხს. თუ მოერევიან, მოერევიან, ხოლო, თუ ქართველი ხალხის იმედი აქვთ, მაშინ ბაჩო ახალაიას და სააკაშვილს უნდა შეელიონ. ორივე ერთად - ხალხო, თქვენი მხარდაჭერა გვინდა და თან ბაჩო ახალაიაც გვინდა, რომელიც ხვალ ციხიდან გამოვა და დედას გიტირებთ, ეს ურთიერთგამომრიცხავი სტრატეგიებია.

**— ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ნაციონალების ტონი შედარებით შერბილებულია, თუნდაც — მიხეილ მაჭავარიანის, სერგო რატიანის, თუ არ ჩავთვლით ჭიქის სროლის ცნობილ ინციდენტს.**

— მათი ტონალობა შერბილდება, როგორც კი ახალი ხელისუფლება აჩვენებს ძალას. პატარა ბავშვები რომ მაიმუნობენ, მშობელი მოფერებით თუ ეტყვის, ბავშვებო, წყნარადო, შეიძლება უფრო ახმაურდნენ, მაგრამ თუ მუშტს მაგიდაზე დაარტყამ და კუთხეში მიუთითებ, დადგებიან კუთხეში. ნაცმოძრაობაც ამ დღეშია, თუ ისინი ხელისუფლებას გაუბედაობას შეამჩნევენ, ბევრს ირატრატებენ ვითომ ფასეულობებზე. როგორც კი ხელისუფლება ეტყვის, რომ თქვენ ყველანი ხართ კრიმინალები და მიდიხართ ციხეში, ნახავთ, ბატონი მაჭავარიანი როგორ მისცემს ჩვენებას რატიანზე, რატიანი — უგულავაზე და ა.შ. — ყველა ერთმანეთზე.

**— მათი მოჩვენებითი თვინიერება ქართველი ერის მიმტევებელ ხასიათზე ხომ არ არის გათვლილი?**

— ვერ ვხედავ ამის პერსპექტივას, რადგან არ არიან ჯერ დაჩაგრულები, მათგან არავინ არ დაუჭერიათ, არავინ უცემიათ, რომელ დაჩაგვრაზეა საუბარი? გვახსოვს, როგორ იჩაგრებოდა ხალხი, „პაჩკა-პაჩკა“ იღუპებოდნენ, ნაცემები, დაჭრილები, ცოცხებს უყრიდნენ. თუ უნდათ, ჩაგრულის მანტია მოისხან, მაშინ მზად უნდა ჰქონდეთ ერთი ადგილი, რომ ის ცოცხები გაიყარონ და მერე გადაიღონ. ასე ხდება ეს ყველაფერი. აბა, თან უნდათ ჩაგრულები იყვნენ, თანაც უნდათ, არ იტანჯონ. ვასო გოძიაშვილს რომ ეუბნებიან, თქვენ შეგიძლიათ, თავი გასწიროთ? ის პასუხობს, მერე მე არაფერი მამივაო? ასე არიან ესენიც. ჩვენ როცა გვდევნიდნენ და რეპრესიები იყო, ამას ობიექტური საფუძველი ჰქონდა, რამდენჯერ დაარბიეს ჩვენი მიტინგები წყლის ჭავლით, ცრემლსადენით, ხალხს თვალი გამოუგდეს და ადამიანები იღუპებოდნენ, ასობით ციხეებში იჯდა, ათასობით ხალხი ევროპაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა. ეს რეალური ისტორიაა. კომიკურია, რომ ჩიორა თაქთაქიშვილს სისხლი წასკდა ცხვირიდან და მერე ოთხი დღის განმავლობაში ადეალა გადააფარეს და წოლითი რეჟიმი ჰქონდა, ეს ვერანაირ სოლიდარობას ვერ გამოიწვევს.

**— და ბოლოს, კოჰაბიტაციის შესახებ. ქართველი ერი ამ შემოთავაზებული სიტყვის - „კოჰაბიტაციის“ მძევალი ხომ არ გახდა? საქართველოსნაირ ავტოკრატიულ ქვეყანაში ეს სიტყვა ბოროტების თავშესაფარს ხომ არ გულისხმობს?**

— კოჰაბიტაცია იქნება თუ ამნისტია, ეს ერთი და იგივეა და ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს სისტემის შენარჩუნება, რამდენიმე ჩინოვნიკის გვარი და სახელი შეიცვლება, მაგრამ სისტემა უცვლელი დარჩება, რაც ხალხის ისევ მოტყუებას ნიშნავს. ეს მოხდა საქართველოში, როცა 2003 წელს ვითომ რევოლუცია მოეწყო, ვითომ შეიცვალა პრეზიდენტი, მმართველი პარტია. თუმცა, ჩვენ ვნახეთ, რომ რეალურად სისტემა იგივე დარჩა და ვინც იპარავდა 2003 წლამდე, ის მოგვიანებითაც იპარავდა. ახლაც მცდელობა აქვთ, რომ 2012 წელსაც იგივე მოხდეს. ამის გარკვეულ ნიშნებს ვხედავ. ბანკის მოვალეებთან და რამდენიმე დიდ სოციალურ ჯგუფთან მიმართებით ახალმა ხელისუფლებამ იგივე სტრატეგია აირჩია, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. სხვადასხვა სფეროებში ჩანს, რომ იგივე მაფიოზური და მონოპოლიური ჯგუფები ინარჩუნებენ გავლენებს და ახალ ხელისუფლებასთანაც გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწიეს. თუმცა, ეს, ჯერჯერობით ტენდენციებია და არ ვიტყვი, რომ მომავალშიც ასე იქნება. მიმაჩნია, რომ კოჰაბიტაცია დამღუპველია, კოჰაბიტაცია კი არ სჭირდება ამ ქვეყანას, არამედ - სისტემური რეფორმა და არა ის, რომ მინისტრების გვარები იცვლება.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

**ინფორმაცია**

### სატყეო სექტორში რეფორმები გატარდება

**სატყეო სფეროში დაგეგმილ რეფორმას ახლო მომავალში საზოგადოებას გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტი გააცნობს. როგორც კომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას აპირებს ამ მიმართულებით მთავრობა. სატყეო რეფორმის გეგმის წარდგენას პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი აპრილში აპირებს.**

**პარლამენტში უკვე წარდგენილია და განხილვის საგანს წარმოადგენს საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზებას და მისი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდ გარდაქმნას ითვალისწინებს. ცვლილებათა პაკეტის თანახმად, რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტრო განახორციელებს არა მხოლოდ გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვას, არამედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვასაც (გარდა ნავთობისა და გაზისა). სამინისტროს სახელწოდება კი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იქნება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სასამართლო

*2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან სულ რაღაც 100 დღეში საჯაროდ გამოიფინა ნაციონალთა „ჭუჭყიანი საცვალი“. ხალხის ზურგს უკან მიმდინარე საპარლამენტო უმრავლესობა-უმცირესობის ჩაშლილი მოლაპარაკება, როგორც გაირკვა, ათასობით კორუმპირებული სახელმწიფო მოხელისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საკითხს ეხებოდა; პოლიტიკური ძალა, რომელიც 2003 წლამდე სხვათა კორუმპირებულობაზე გაჰყვიროდა, საკუთარი მაღალჩინოსნების ციხიდან გარიდებას ახმარს მთელ ძალ-ღონეს.*

*ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სასაუბროდ შევხვდით შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების ყოფილ მოსამართლეს, გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს, ცნობილ იურისტს ვენედი ბენიძეს, რომელიც ამჟამად პედაგოგიური საქმიანობითაა დაკავებული.*



# ვენედი ბენიძე:

# კანონი უნდა იყოს სამართლიანი და ჰუმანური

**— ბატონო ვენედი, თქვენ, როგორც სასამართლოსა და პროკურატურის სტაჟიანი მუშაკი, როგორ შეაფასებდით არჩილ კბილაშვილის პროკურატურის მუშაობას?**

— ბატონ კბილაშვილს დიდი ხანია ვიცნობ. იგი ღრმად განსწავლული და წესიერი ადამიანია. შესაბამისია მისი დამოკიდებულება საქმისადმი: დღეს ყოველგვარი „პიარისა“ და ხმაურის გარეშე იძიებს პროკურატურა სისხლის სამართლის ურთულეს საქმეებს. ესაა რობაქიძის, გირგვლიანის და სხვათა მკვლელობების გახმაურებული საქმეები, კორუფციული დანაშაულობები, ჩემი აზრით, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი გაჟღერდა. მეც ვიცი და ეს არაერთხელ ითქვა საჯაროდ, რომ შემოსულია ათასობით განცხადება სხვადასხვა სახის დანაშაულობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი და თან უაღრესად კორექტულად — კანონიერების სრული დაცვით. მე როგორც ვხედავ, საზოგადოების ნაწილი ყოველთვის სწორად ვერ აღიქვამს საგამოძიებო სტრუქტურების — შსს-სა და პროკურატურის კორექტულობას და სისუსტედაც კი უთვლის მათ. ასეთი დასკვნის გაკეთებისკენ უბიძგებს საზოგადოებას ყოფილი ხელისუფლების, საპარლამენტო უმცირესობის ზოგიერთი წევრის აშკარად ცინიკური და აღვირახსნილი გამოხდომები; გარწმუნებთ, საზოგადოება მალე დაინახავს რამდენად გონივრული ყოფილა თეა წულუკიანის — იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი პოლიტიკა, რისი გამოვლინებაცაა საგამოძიებო სტრუქტურების სიმშვიდე და ზომიერება. უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები სხვა არაფერია, თუ არა ყოფილი ხელისუფლების ზოგიერთი კორუმპირებული მაღალჩინოსნის რეაქცია უკანონოდ მიღებული სიმდიდრისა და პიროვნული თავისუფლების დაკარგვის საფრთხეზე. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ასეთ არაადეკვატურ აქციებს საერთო პოლიტიკასთან არა აქვს — იგი კრიმინალთან და „ქურდულ“ მენტალიტეტთან უფრო არის წილნაყარი.

**— პროკურატურისა და შს სამინისტროს საგამოძიებო სტრუქტურების მუშაობას, თუ სწორად გაგიგეთ, დადებითად აფასებთ. მაშინ რასთან დაკავშირებით გამოთქვამდით პროტესტს, როცა პრესკონფერენცია ჩაატარეთ?**

— საპროტესტო თემას რა დალევს. ჩვენ, იუსტიციის ყოფილმა მუშაკებმა, ცნობილმა იურისტებმა, ადვოკატებმა, შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაცია „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“, რომელმაც შეისწავლა საქალაქო სასამართლოს მუშაობის პრაქტიკა და ტენდენციები ბოლო სამი თვის მანძილზე. 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ასეთი მონიტორინგი იმავე სასამართლოში ჩატარებული ჰქონდა საიას. იცით რა შედეგი მივიღეთ? **მოსამართლეთა ერთი ნაწილი დღესაც ერთი პარტიის დიქტატით მუშაობს და ხშირად აბსურდულ გადაწყვეტილებებს იღებს.**

**— რომელი გადაწყვეტილებები გაქვთ მხედველობაში?**

— აი, მაგალითად, მოსამართლე გიორგი გოგინაშვილმა, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, მძიმე დანაშაულში მხილებულ პირებს გირაო შეუფარდა. საზოგადოებამ კარგად იცის მათი ვინაობა: გიორგი კალანდაძე, ზურაბ შამათავა, ალექსანდრე გიორგაძე, თეიმურაზ პატარიძე, გურგენ დონაძე, ირაკლი ფირცხალავა.... ისინი იმხილებიან პიროვნების მიმართ ჩადენილ ძალადობაში, მტკიცებულებათა გაყალბებაში, მოწმეებზე ზეწოლაში... და ამათ გარეთ ტოვებენ, მაშინ, როდესაც იგივე მოსამართლე 2012 წლამდე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას უფარდებდა ნაკლებად მძიმე, საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, სასაცილო დანაშაულში ბრალდებულ პირებს. მაგალითად, გოგინაშვილმა წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ქალს, რომელმაც მშობიარე, ბიოლოგიურ დედასთან შეთანხმებით, შვილად აყვანის მიზნით, გააყალბებინა ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც გაიცა დაბადების მოწმობა, რომელშიც ბავშვის დედად შვილად ამყვანი ჩაიწერა. ეს დანაშაული ჯარიმასაც კი ითვალისწინებს.

ასევე, „ნულოვანი ტოლერანტობის“ რეჟიმში იგივე მოსამართლემ აი როგორ დაასაბუთა ვინმე ლიფონავასთვის აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობა:

„საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დასაბუთებულია, რომ ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ხელს შეუშლის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებთან ერთად ქმედების ხასიათი, გამოწვეული შედეგი, ასევე სასჯელის სიმკაცრე-თავისუფლების აღკვეთა, რაც ზრდის მიმალვის საფრთხის არსებობას და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას, საქმეზე კვლავ ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რის გამოც სასამართლოს შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, საქმეზე ხელისშეშლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად დასაბუთებულად მიმაჩნია, ბრალდებულ ომარ ლიფონავას მიმართ, ამ ეტაპზე, აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენება“.

მოსამართლის ასეთი დასაბუთების შემდგომ („ქმედების **ხასიათი, გამოწვეული შედეგი...),** რა თქმა უნდა, იფიქრებთ, რომ საქმე სერიოზულ, მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთან გვაქვს.

იცით რა ჩაიდინა ლიფონავამ?

**ბაზრობაზე დახლიდან 28-ლარიანი „ბრელოკი“ მოიპარა!**

სამწუხაროდ, ასეთ აბსურდულ გადაწყვეტილებებს მხოლოდ გოგინაშვილი არ იღებს. ზუსტად ანალოგიურია სხვა მოსამართლეების — გიორგი არევაძის, ნატო ხუჯაძის და სხვათა განჩინებები აღკვეთის ღონისძიების შესახებ ოქტომბრამდე; ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება მალე გავთავისუფლდეთ ასეთი უპასუხისმგებლო მოსამართლეებისგან. ასე ჯობია საზოგადოებისთვის, ასე ჯობია ამ მოსამართლეებისთვისაც. სხვა შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდება.

რაც შეეხება მოსამართლე არევაძეს (თუ შეიძლება მას მოსამართლე ეწოდოს!) და მის გადაწყვეტილებას ქალაქის მერის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით; აქ უფრო დანაშაულთან გვაქვს საქმე, ვიდრე გადაცდომასთან. დარწმუნებული ვარ, ეს საქმე მალე გაირკვევა, ყველა აგებს პასუხს!

მე იურისტი ვარ და, შესაბამისად, განსხვავებით „ნულოვანი ტოლერანტობის“ მომხრე წინა ხელისუფლების სასამართლო-პროკურატურისაგან, მხარს ვუჭერ კანონის მკაცრ დაცვას. **ამასთან, კანონი უნდა იყოს სამართლიანი და ჰუმანური ზუსტად იმ დოზით, რამდენადაც შეესაბამება ჩვენი ერის ტრადიციებს, სულიერებას, კულტურას**... ეს ყველაფერი კი უნდა გამორიცხავდეს შერჩევით სამართალს.

შერჩევითობა სამართალწარმოებაში, რაგინდ „კეთილშობილური“ მიზნითაც უნდა იყოს ნაკარნახევი — უზნეობაა და მჯერა, რომ ახალი ხელისუფლება სამართლის განხორციელებისას ამას არასოდეს და არავის მიმართ დაუშვებს!

**ესაუბრა**
**ტარიელ ბაქრაძე**

## პრობლემა

***ახალ ხელისუფლებას მძიმე და შემაშფოთებელი, ზოგ შემთხვევაში აღმაშფოთებელიც ერგო მემკვიდრეობა. აღშფოთების ერთ-ერთ საგნად წარმოდგება უმოწყალოდ-უცერემონიოდ გაყიდული სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ კოლექტივის შენობა-ნაგებობები, იქიდან კანონიერ მეპატრონეთა უბოდიშო გამოყრითა და შიგადაშიგ მათი დარბევითაც.***

***ასე დაემართათ, მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და მრავალრიცხოვან კალმოსანთა კორპუსს, როცა მათ უსინდისოდ წაართვეს გამომცემლობის ხუთსართულიანი სახლი „სამშობლო“; ასეთივე ბედი ეწია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალ ბევრ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას.***

***კომუნისტური ხელისუფლება უშენებდა და უანგაროდ გადასცემდა შენობებს მეცნიერ-მკვლევარებს, ნაციონალთა მთავრობა კი, დარგის მანამდე გაუგონარი აგდებითა და იგნორირებით, ართმევდა და ყიდდა!***

***სინანულითა და კიდევ მეტი, წუხილით უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოიცალა, როგორც ჯერ არს, მეცნიერებისთვის ახლახან წართმეულის დასაბრუნებლად.***

***ქვემოთ შევეხებით ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის, პირვანდელი სახელწოდებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის, შენობის ბედს.***

***ვესაუბრებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გამოთვლითი მეთოდების განყოფილების ხელმძღვანელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯემალ სანიკიძეს.***

# მიდიან, ყიდიან და ასე ჰგონიათ...

— ნახევარსაუკუნოვანი კუთვნილების შემდეგ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენი ინსტიტუტისათვის საგანგებოდ აშენებული, სამსართულიანი კაპიტალური შენობის გაყიდვა. ინსტიტუტში და, კერძოდ მის ჩინებულ საკონფერენციო დარბაზში ეწყობოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები და სხვა საინტერესო სამეცნიერო თუ კულტურული ღონისძიებები, მისი კარი სხვა ინსტიტუტებისთვისაც მუდამ ღია იყო. ეს შენობა, დღიდან ექსპლუატაციაში შესვლისა, გახლდათ სახელმწიფოს საკუთრება, რომლითაც უსასყიდლოდ ვსარგებლობდით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შექმნილმა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ინსტიტუტის შენობა და მიმდებარე მიწის ნაკვეთი თურმე 2012 წლის 5 სექტემბერს მიჰყიდა შპს „ახალ თბილისს“. ეს აქტი განხორციელდა აუქციონის გამოუცხადებლად, პირდაპირი მიყიდვის წესით, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის რეზოლუციის საფუძველზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 20 აგვისტოს შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალში შეტანილ იქნა მანამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩვენი ინსტიტუტის შენობა მიმდებარე მიწის ნაკვეთითურთ და მითითებულ იქნა მათი საბაზრო ღირებულება — 3 721 180 ლარი(!). შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ კი ის, რატომღაც, 800 000 ლარით ნაკლებ ფასად გაყიდა. ლაპარაკია ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას, სპორტის სასახლისა და მეტროს გვერდით მდებარე 7 000 კვ. მეტრამდე ფართობის მქონე სამსართულიან შენობაზე, თავისი ნულოვანი სართულით, სარდაფითა და დაახლოებით 7 500 კვ. მეტრი ფართობის ეზოთი. აქ ბევრი კითხვა ჩნდება. მაგალითად, რატომ შეაფასა სახელმწიფომ ასე იაფად ჩვენი ქონება და რატომ გაყიდა კიდევ უფრო ნაკლებ ფასად?

მყიდველს განზრახული აქვს შეძენილ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს-ცენტრისა და სასტუმროს აშენება.

ნასყიდობის აქტი განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმირების გარეშე, ისე, რომ „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ არ დაინტერესებულა, ამ გასხვისებით საფრთხე ხომ არ შეექმნებოდა მუსხელიშვილის ინსტიტუტს, სად და რა პირობებში განთავსდებოდა ინსტიტუტის პერსონალი.

**— საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რა შუაშია?**

— ჩვენი ინსტიტუტი ახლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაშია, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული — რანაირად და რატომ, ეს კიდევ ცალკე ისტორიაა...

**— გაყიდვის ამბავი რომ შეიტყვეთ, როგორი იყო თქვენი რეაგირება?**

— ბუნებრივია, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა, რომლისთვისაც ეს ყველაფერი სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, მკვეთრად გააპროტესტა შენობის გაყიდვა-გასხვისება და ყველგან, ყველა შესაბამის ინსტანციაში შეიტანა საჩივარი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 4 მარტს გაიმართება.

მყიდველი ითხოვს შენობის დაცლასა და მისთვის გადაცემას, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულნი, გავაგრძელებთ ბრძოლას, პირდაპირ გეტყვით, ჩვენი მშობლიური შენობის გადასარჩენად. დიდი იმედი მაქვს, რომ სასამართლოში განხილვამდე ეკონომიკის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა გამოიჩენს სათანადო გულისხმიერებას და დაიხსნის მტაცებლურად და ვერაგულად გაყიდულ შენობას.

ვიმედოვნებთ, რომ ეს პუბლიკაცია თვალში მოხვდება ყველას, ვისაც შეუძლია ჩვენი დახმარება მეცნიერებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იმ ინსტიტუტის შენობის გადარჩენის სასიკეთო საქმეში, რომელსაც ესოდენ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს გაღებული და დიდი დამსახურებაც მიუძღვის საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების კუთხით.

**ესაუბრა**
**თამაზ ეზანოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სატენდერო მოწვევა

**საქართველო**

**კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი (KRRIP) (P117152) სატენდერო მოწვევა № KRRIP/CW/NCB-01**

## კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისთვის **გზების უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება**

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პრექტისთვის (KRRIP). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება **კახეთის რეგიონში შემდეგი გზების უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად:**

- ს-5 თბილისი-ბაკურციხე–ლაგოდეხის გზის ვაზიანი-ბაკურციხის მონაკვეთი;
- შ-42 ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზის თელავი-ბაკურციხის მონაკვეთი;
- შ-38 ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის ვაზიანი–თელავის მონაკვეთი.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა აღნიშნულ გზებზე **საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების (საგზაო ნიშნების, თვალამრიდი ძელების, ბეტონის პარაპეტების, ბაგირების და ა.შ. მოწყობა) განსახორციელებლად** დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია **8 თვე**.

3. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფილიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახრების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტი დამატებით ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსს ბ-ნ ირაკლი მურღულიას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად;

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის ან მისი ეკვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოებს (სამუშაოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით; **ანალოგიური ხასიათის სამუშაოებში იგულისხმება გზების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებდა საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს (საგზაო ნიშნების, თვალამრიდი ძელების, ბეტონის პარაპეტების, ბაგირების და ა.შ. მოწყობას).**

გ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულების და საავანსო თანხების გამოკლებით, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ან მისი ეკვივალენტის ოდენობით.

ე. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში; ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6.

6. დაინტერესბულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმა 2 პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიში №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302 007 800
ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მიუთითეთ ტენდერის ნომერი №KRRIP/CW/NCB-01 და დასახელება: **კახეთის გზების უსაფრთხოების გაუმჯობესება)**

მოთხოვნის შემეთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2013 წლის 25 მარტის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2013 წლის 25 მარტის 17:15 სთ-ზე** ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე +28 დღე =118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს პუნქტს ITB 19.8, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საერთაშორისო პროექტების სამმარველო, მე-4 სართული
ალ.ყაზბეგის გამზირი № 12, 0160 თბილისი, საქართველო
ბ-ნი ირაკლი მურღულია, საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
ტელ: + (995 322) 37-05-08, დამ.299
ფაქსი: +(995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
ვებ –გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

Georgia
Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP) (P117152)
Bid Invitation No: KRRIP/CW/NCB-01

## Improvement of Roads Safety for the Kakheti Regional Roads Improvement Project in Georgia

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Kakheti Regional Roads Improvement Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for **works to Improve Road Safety for the following sections of Kakheti Circle**:

Vaziani-Bakurtsikhe section of S-5 Tbilisi-Bakurtsikhe-Lagodekhi Road
Telavi-Bakurtsikhe section of Sh-42 Akhmeta-Telavi-Bakurtsikhe Road
Vaziani-Telavi section of SH-38 Vaziani-Gombori-Telavis Road

The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for **installation of road furniture on the mentioned roads.** Implementation period for execution of construction works is 8 months.

Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Irakli Murgulia, Head of the Foreign Projects Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:
Average annual construction turnover of at least 4,000,000 GEL (Four Million Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;
experience as prime contractor in at least one contract for construction/reconstruction/rehabilitation of roads **that includes road safety measures (barriers, road signs. etc.)** that has been successfully and substantially completed over the last 3 (three) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 2,000,000 GEL (Two Million Georgian Laris)
the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;
Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 500,000 GEL (Five Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.
Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a non-refundable fee of 200 Georgian Lari. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
Beneficiary: Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, Roads Department
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert tender Number: **# KRRIP/CW/NCB-01** and name: **Improvement of Roads Safety for KRRIP)**

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **March 25, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **March 25, 2013, 17:15** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Foreign Projects Unit, IV Floor
Mr. Irakli Murgulia, Head of the Foreign Projects Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.299
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№37. ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 2013 წელი.

# სიხარული და სევდა მკურნალისა

## პროფესორი აკაკი ნადარეიშვილი – 70



**გაგიკვირდება, რა დათესა ასეთი ამ კაცმა, მთელი ეს ვეება დაწესებულება, მთელი ეს სამსახური, ერთთავად რომ ცდილობს, გულიანად, ღიმილით, სიყვარულით გვესაუბროს მასზე — პროფესორ აკაკი ნადარეიშვილზე.**

**...„ფრიდონ თოდუას კლინიკაში" ვარ, თევდორე მღვდლის ქუჩაზე. აკაკი ნადარეიშვილს, ჩემს „კოკას" (ყველა ნაცნობ-მეგობრის „კოკას") ცოტა დავასწარი მოსვლა და, რაკიღა შემთხვევით გაეგოთ ჩემი იქ ყოფნის მიზეზი — კოკას დაბადების 70 წლისთავის გამო წერილის მომზადება, ძველი ნაცნობები, ინსტიტუტის რამდენიმე ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თუ პროფესორი დუდანა გაჩეჩილაძე, ლია გზირიშვილი, მარიკა რაზმაძე, თეა ჩანგელია, ლალი სულავა, გიორგი წივწივაძე... ერთმანეთს ეცილებიან, რომ ერთი-ორი თბილი სიტყვა მითხრან თავიანთ მეგობარსა და კოლეგაზე:**

— იგი ჭეშმარიტი ქართველია, კაცური კაცია, რომელიც თავს მოვალედ თვლის, მუდამ, ჭირსა და ლხინში შენს გვერდით იყოს... ამას ავსებს მისი დიდი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომლის გამოც, კოკა, ხანდახან მკაცრიც კია ამა თუ იმ პაციენტის, ანდა თანამშრომლის მიმართ... მისაბაძია მისი გულისხმიერება ახალგაზრდა კოლეგებისადმი, რომლებიც უკვე საკმაოდ არიან ჩვენს ინსტიტუტში და კოკასგან ყოველდღიურად სწავლობენ, ითვისებენ საყვარელი საქმისადმი პროფესიულ მიდგომას... იგი უკვე ცნობილი უროლოგია, ანუ „მამაკაცის მეორე გულს" კურირებს და, ეს რა საპასუხისმგებლო საქმეცაა, ქვეყანამ იცის... მით უმეტეს, მამაკაცებმა იციან...

* * *

რახან ამწუთას აქ ყოფილა, განა შეიძლება ღირსეული კოლეგის, თანამშრომლის, მეგობრის შესახებ რამდენიმე სიტყვის თქმა არ ვთხოვო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას?..

ისიც ინსტიტუტის ყველა თანამშრომლის სახელით მესაუბრება:

**— ხანდახან მგონია, აკაკი ნადარეიშვილს მთელი ცხოვრება ვიცნობ. ალბათ, ასეცაა — ჩვენ ხომ ერთად განვვლეთ ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი — დაწყებული სამედიცინო ინსტიტუტიდან, ერთმანეთის გვერდით გადავიტანეთ უამრავი რამ... ყველაფრის გახსენება არ შემიძლია და არც მინდა, მაგრამ ცხოვრებამ გვაჩვენა ერთმანეთის გვერდით დგომის მნიშვნელობა და ფასი.**

**გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, მოგეხსენებთ, მოსკოვში ვმუშაობდი, ცოტანი ვიყავით ქართველები და თითქმის ყველა ვიცნობდით ერთმანეთს, ვმეგობრობდით. ერთ-ერთი იყო აკაკი ნადარეიშვილიც — შესანიშნავი პიროვნება, არაჩვეულებრივი ადამიანი და ბრწყინვალე ექიმი, რომელმაც განვლო გზა რიგითი ექიმიდან მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელამდე, იყო თავისი დარგის აღიარებული სპეციალისტი, მაგრამ, როდესაც საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობას, მას ერთი წუთითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ სამშობლოში დაბრუნება-არდაბრუნების კითხვა — 9 აპრილის შემდგომ ბევრ ქართველს გაუჩნდა სურვილი, დაბრუნებულიყო სამშობლოში და თავისი წვლილი შეეტანა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში...**

**ოცდაერთნი ვიყავით, დავბრუნდით ნამდვილად ენთუზიაზმით აღსავსენი, შედარებით ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ყველა აღიარებული სპეციალისტი, სათანადო რეგალიების მქონენი... მართლაც ახალგაზრდულად შემართულებს გვეგონა, რომ მალე ჩვენი ქვეყნისგან ახალ შვეიცარიას ავაშენებდით, მაგრამ ცხოვრება სხვაგვარად შემობრუნდა — დღეს ეს უკვე ისტორიაა. თუმცა, მაშინ ჩვენი ცხოვრების რეალობა ოცნებების ნგრევა იყო — სამოქალაქო ომი, საყოველთაო ნიჰილიზმი, გაჩანაგებული ეკონომიკა... იმ ოცდაერთიდან ცხრამეტი უკან დაბრუნდა, ისევ მოსკოვში და დღეს ისევ წარმატებული სპეციალისტები, თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, მაგრამ სამშობლოსაგან შორს...**

**დავრჩით მხოლოდ ორნი — მე და აკაკი ნადარეიშვილი და მართლაც ჩვენს მხრებზე გადავიტანეთ იმ დროის ყველა უბედურება. სწორედ ის იდგა ჩემ გვერდით ჩემს ყველა წამოწყებაში და დღეს რომ ასეთ წარმატებას მივაღწევთ, ამაში სწორედ მისი უდიდესი წვლილიცაა.**

**მისი პიროვნული ღირსებანი და ცხოვრების გზა სამაგალითოა, რადგან იგი განსახიერებაა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. შეუძლებელია, არ მოიხიბლო მისი იუმორით აღსავსე, საოცრად თავმდაბალი და, ამავე დროს, უაღრესად დიდბუნებოვანი პიროვნებით.**

**კეთილშობილება უდიდესი სამკაულია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელ სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, მაგრამ, როდესაც შეგიძლია იყო სხვათა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ბრძოლის წინაშე, გულშემატკივარი და თანამონაწილე, საკუთარი დარდისა და ტკივილის მიუხედავად, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. და სწორედ ასეთია ჩემთვის ჩემი კოლეგა, ჩემი მეგობარი და, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ჩემი თანამებრძოლი, ყველაზე მძიმე დროის გამზიარებელი, ბატონი აკაკი ნადარეიშვილი.**

**არ მეგულება ამქვეყნად არც ერთი პაციენტი, ნაცნობი თუ უცნობი, ვინც მას რაიმე კონტექსტში ცუდად მოიხსენიებდეს... ვფიქრობ, ნებისმიერი თანამშრომლისთვის მისი სახელი ასოცირდება სიკეთესთან, პატიოსნებასთან, უმაღლეს პროფესიონალიზმთან, ათასობით ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ დასტური მისი არაჩვეულებრივი ადამიანობის დაფასებისა და სიყვარულისა. აკაკი ნადარეიშვილი წარმოშობით გუდაუთიდანაა. მისი სახლი დღესაც ხელუხლებელია და მას სათუთად უვლიან იქაური მეზობლები და მეგობრები. უვლიან და გულითაც ელიან მის ჩასვლას.**

**ძალიან ძნელია და, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებელიც, ადამიანმა მოძებნოს სიტყვები იმ სითბოსა და სიყვარულის გამოსახატავად, რომელთაც იმსახურებს ეს არაჩვეულებრივი პიროვნება, ჭეშმარიტი ექიმი, ნამდვილად ღირსეული მამულიშვილი.**

**ერთი იმედი მაქვს, რომ მან უთქმელადაც კარგად იცის, რომ სიყვარულს იმსახურებს და რომ ამგვარ დიდ სიყვარულს და მეგობრობას, ამდენ დროს და განსაცდელს რომ გაუძლო, განსაკუთრებული სიტყვები არ სჭირდება, აქ დუმილიც მრავლისმეტყველია...**

**მინდა, მხოლოდ შევუერთდე სხვათა მილოცვებს მისი იუბილის გამო და გულწრფელად გამოვხატო უღრმესი პატივისცემა და სიყვარული ამ განუმეორებლად მომხიბლავი პიროვნების მიმართ, ვუსურვო, კვლავაც დიდხანს არ მოშლოდეს მკლავის ძალა, აზრის სიმრთელე და სულის სითბო.**

* * *

აი, აკაკიც — ინსტიტუტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენოსანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი... მაღალი, უკვე თმაჭაღარა, ღიმილიან-სევდიანი სახის...

ქვეყნის ხალხი ელოდება კაბინეტთან...

— ხომ გითხარი, არ მინდა-მეთქი საიუბილეო წერილი, არ მაქვს მაგის ხალისი... თანაც, ნახე, რა ამბავია...

**— უცებ შეგეშვები... სანამ ხალათს ჩაიცვამ... გუდაუთელები ისევ გიგზავნიან „ადესის" ღვინოს ოცლიტრიანი ჭურჭლით?**

— აბა, რა... ჩემი მეზობლები სხვა ხალხია... არ მალავენ ქართველებისადმი სიმპათიას...

...აკაკი ნადარეიშვილი გუდაუთაში დაიბადა და გაიზარდა, ახლაც სევდა იპყრობს იქაურების გახსენებაზე... სხვათა შორის „თოდუას კლინიკას" უკვე იმხელა რეზონანსი აქვს, აქ აფხაზებიც ხშირად ჩამოდიან აფხაზეთიდან და კოკა ნადარეიშვილი განსაკუთრებით მზრუნველობს ამ ადამიანებს, მათთან საუბარში იმასაც გაურევს, რომ მხოლოდ კეთილი ურთიერთობებით თუ მიიღწევა ორი ერის დაახლოება... გახურებული ომის დროს ძმებ ნადარეიშვილებს დედა გუდაუთაში ჰყავდათ, არ გაგატანთ, ჩვენ მივხედავთო, ქვა ააგდეს აფხაზმა მეზობლებმა. მერე ავადმყოფობა მოეძალა და, კოკამ თბილისში ჩამოიყვანა დედა, აქ გარდაიცვალა იგი და ამჟამად ვერის სასაფლაოზე განისვენებს ქალბატონი დავლინა.

განსაკუთრებული ტკივილია მისთვის აფხაზეთის ტრაგედია. ჩემი ლექსი წავუკითხე ერთხელ ვაკეში, მასთან პურობისას:

**შენ დღედაღამ აფხაზეთი გტკივა,**
**შენს გაძლებას კოკა, ძმაო, „ვივა"!**
**შენი სისხლი სოხუმისთვის ჰყივა,**
**მაგნოლიებს იქ ყვავილი სცვივა...**
**ამბობ: მივალთ, ჩვენ ფსოუმდე მივალთ,**
**ამბობ: მივალთ, ბიჭვინთაშიც მივალთ,**
**გწამს: აფსუა დაიკვნესებს: „ვავა"!**
**გწამს: ქართველი დაიჭექებს „ვივა"!**

თვალები აუწყლიანდა, ფურცელი გამომართვა და გულის ჯიბეში ჩაიდო... მაშინ, ოთხმოცდაათიან წლებში, კიდევ ჭიატობდა იმედი აფხაზეთის დაბრუნებისა...

— გუდაუთიდან ჩამოვედი თბილისში, ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში და, რომ იტყვიან, წამში გაფრინდა სტუდენტობის ლაღი წლები. რამ დამავიწყოს ჩემი ძვირფასი პედაგოგები, ბატონები — ეგნატე ფიფია, შიო გუგეშაშვილი, კოტე ვირსალაძე, დავით იოსელიანი, ყარამან ფაღავა და სხვები.. ახლა მეგობრები? თანაკურსელები? ზოგმა ნაადრევად დაგვტოვა, მაგალითად, რომან მოწონელიძემ, სვეტა სანიკიძემ... სხვებმა და სხვებმა... ჭირსა და ლხინში მყავს ჩემი ბავშვობის მეგობარი, „გეპეის" მათემატიკის კათედრის დოცენტი ნოდარ ხომერიკი, ჩემი თანაკურსელი „გოგონები" დაგმარა წერეთელი, მანანა ქამუშაძე, ლიანა ჯანელიძე...

— მეტად ხალისიანი, მეგობრული, ყველა კარგი საქმის ინიციატორი იყო კოკა, — ამბობენ „გოგონები", — ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გადავიდა და კარგა ხანს ველარ ვხვდებოდით, მაგრამ ვიცოდით, რომ შესანიშნავი ოჯახი შექმნა.

**— რა იყო მოსკოვში გადასვლის მიზეზი?**

— ცოდნის გაღრმავება, პროფესიის მეტად და მეტად დაუფლება... იქ, სეჩენევის სახელობის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, უროლოგიის კათედრაზე 22 წელიწადი დავყავი კლინიკური ორდინატორიდან განყოფილების ხელმძღვანელამდე, იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

* * *

კარგა ხნის წინათ, მხოლოდ „ფრიდონ თოდუას სადიაგნოსტიკო ცენტრად" იცნობდა აქაურობას ხალხი, ახლა კი აშენებულ-დამშვენებული, უთანამედროვესი აპარატურით აღჭურვილი კლინიკური დიაგნოსტიკის სამეცნიერო ინსტიტუტია და მის აღმასვლაში, ბატონი ფრიდონისა არ იყოს, აკაკი ნადარეიშვილის წვლილიცაა. იგი იყო, როგორც იტყვიან, მარჯვენა ხელი ბატონი ფრიდონ თოდუასი, მისი მოადგილე სამეცნიერო დარგში და პარალელურად ხელმძღვანელობდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილებას, 1997 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 2000 წელს კი მიენიჭა პროფესორის წოდება, იმ წლებში აქვს მიღებული ის სახელმწიფო ჯილდოებიც, თავიდან რომ ჩამოგითვალეთ. 2004 წლიდან აკაკი ნადარეიშვილი მუშაობს სამედიცინო აკადემიის რადიოლოგიის კათედრაზე და, ამავე დროს, სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრის პროფესორია.

განყოფილებაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, წარმოებს სხვადასხვა სახის ულტრაბგერითი გამოკვლევა, ასევე დიაგნოზის დასადასტურებლად ტარდება პროსტატის დიოფსია ულტრაბგერითი კონტროლის ქვეშ, რის შემდეგაც მიმდინარეობს მიზანმიმართული მკურნალობა როგორც კონსერვატიული, ასევე ქირურგიული.

ასევე, განყოფილებაში წარმოებს თავის ტვინის მაგისტრალური სისხლძარღვების დუპლექს-სკანირება ფერადი და ენერგეტიკული დოპლერის რეჟიმში, ასევე, ზედა და ქვედა კიდურების, სარძევე, ფარისებრი ჯირკვლების და პერიფერიული ლიმფური კვანძების ულტრაბგერითი გამოკვლევა... და კიდევ უამრავი სამკურნალო საქმიანობა...

ნაყოფიერად მოღვაწეობს იგი სამეცნიერო სფეროშიც. აკაკი ნადარეიშვილი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 10-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, საქართველოს რადიოლოგთა გამგეობის, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრია...

* * *

ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, საამაყო და სასიხარულოა მისთვის, სასიხარულოა, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თუ საქართველოს საზღვრებს გარედან ამ სახელგანთქმულ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი უამრავი ადამიანი კმაყოფილია ინსტიტუტში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა, მათ შორის, აკაკი ნადარეიშვილისაც... აბა, ექიმს სხვა სიხარული რა უნდა ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ თავისი ცოდნა-გამოცდილებით განკურნებულ პაციენტს ხედავს?..

თუმცა, ცხოვრება მუხთალია, ადამიანის სიხარულს სევდა-მწუხარება ცვლის ხოლმე. სიხარულთან ერთად ენით უთქმელი სევდა-მწუხარებას დაატარებენ ჩვენი კოკა და მისი შესანიშნავი მეუღლე, ექიმი-გინეკოლოგი ლიკა ბულისკერია — ამ სიკეთით სავსე ადამიანების ორი ვაჟკაცი ღმერთმა ზეციურში წაიყვანა... ჯერ გიორგი, მერე — ირაკლი... მათი ოჯახის ორი იმედი...

და მაინც ცხოვრობს, და მაინც იღვწის ჩვენი კოკა — სიკეთის ქმნისთვის გაჩენილი სამაგალითო ქართველი...

იცოცხლე, კოკა!

**ვილენ მარდალეიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com





**ამ სათაურის წაკითხვისთანავე წიგნიერ ადამიანს, რა თქმა უნდა, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" გაახსენდება — გაბრიელ გარსია მარკესის მცირე რომანი თუ ვრცელი მოთხრობა, ფსევდოჟურნალისტური სტილით დაწერილი. რას იზამ, ხდება ხოლმე, როცა უკვე არსებული რამ სათაური კარგად მიესადაგება სხვა თემას, დროით თუ სივრცით დიდად დაშორებულს იმ პირველს, ორიგინალურს, და სხვა ავტორიც ამა თუ იმ ფორმით და ამა თუ იმ მიზნით სესხულობს მას. „გამოცხადებულ გადადგომათა ქრონიკებში" სიკვდილი ისე პირდაპირ არ ფიგურირებს, როგორც მარკესის თხზულებაში, მაგრამ თუ სუვერენი, რომელსაც, ჩვეულებრივ ვითარებაში, ვერავინ და ვერაფერი წაართმევს ტახტს სიკვდილის გარდა, ტახტზე უარს იტყვის, მისი გადადგომა სწორედაც სიკვდილს შეიძლება შევადაროთ. ან თვითმკვლელობას. ხოლო მარკესისგან ნასესხები სათაურის ყველაზე უზუსტო სიტყვა, რომელიც კოლუმბიელი ნობელიანტის რომან-მოთხრობას და ამ თანამედროვე ქრონიკებს განასხვავებს, პირველი სიტყვაა — „გამოცხადებული", რადგან ჩვენს შემთხვევებში საქმე არა გამოცხადებასთან, არამედ თვითგამოცხადებასთან გვაქვს. ასე რომ, დაზუსტების შემდეგ სათაურს შეიძლება ასეთი სახე მიეღო: „თვითგამოცხადებულ თვითმკვლელობათა ქრონიკები". მაგრამ მე მაინც ის პირველი ვარიანტი ვარჩიე. უფრო მარკესული, მაგრამ უსიკვდილო.**

# 1. მეხი „მოწმენდილ" ცაზე

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ კარდინალებმა და ეპისკოპოსებმა მიტრები მოიხადეს და პონტიფიკოსის წინაშე მდაბლად დახარეს თავი. მაშინ, როცა კარდინალი ბერტონე მადლიერებით აღსავსე სიტყვას წარმოთქვამდა, ლიტურგიის მონაწილეებმა რომპაპს ოვაცია მოუწყვეს. მრევლი ტიროდა. ეს მოხდა 13 თებერვალს, დიდმარხვის პირველ დღეს, ნაცრისყრის ოთხშაბათს, როცა ქრისტეს 265-ე მოადგილემ, ბენედიქტე XVI-მ თავისი ბოლო ლიტურგია აღასრულა წმინდა პეტრეს ტაძარში. პეტრეს ბაზილიკის აპქიპრესვიტერმა, კარდინალმა არჯელო კომასტრიმ რომპაპს თავზე ნაცარი აფრქვია, ხოლო მან, თავის მხრივ, ნაცარი დააყარა კარდინალთა კოლეგიის დეკანს ანჯელო სოდანოს და თავის უახლოეს თანაშემწეს, ვატიკანის სახელმწიფო მდივანს, კარდინალ ტარჩიზიო ბერტონეს.

ხოლო გასულ კვირას, 24 თებერვალს, ბენედიქტე XVI-მ უკანასკნელი საკვირაო წირვა ჩაატარა, როგორც რომპაპმა და თავისი სამუშაო ოთახის ფანჯრიდან უკანასკნელად მიმართა წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ათეულ ათასობით ადამიანს, მათი სახით კი — მთელ კათოლიკურ სამყაროს და მთელ მსოფლიოს. იმავე დღეს იგი თავის მკითხველსაც გამოეთხოვა ტვიტერში და მისთვის ლოცვა გამოსთხოვა მათ.

2005 წელს, როცა წინა რომპაპი, იოანე-პავლე II გარდაიცვალა, ჩემი ჟურნალისტური სახელოსნოს სტუდენტებს დავალება მივეცი, შეეგროვებინათ ინფორმაცია პაპაბილების შესახებ. ეს სიტყვა სტუდენტებმა არ იცოდნენ და ავუხსენი, რომ „პაპაბილი" არაოფიციალური ტერმინია, რომელიც ვატიკანისტებმა ანუ ვატიკანოლოგებმა შემოიღეს შიდა მოხმარებისათვის, მაგრამ მერე და მერე იგი ფართოდ გავრცელდა და მრავალ ენაში იხმარება, როგორც რომპაპობის კანდიდატის აღმნიშვნელი. რაც შეეხება „რომპაპს", — სტუდენტებს არც ეს სიტყვა გაეგოთ, — იგი საბასეულია: სწორედ ასე მოიხსენიებს იგი რომის პაპს თავის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში". სტუდენტების მიერ პაპაბილებზე შეგროვილი ინფორმაცია ერთად გავაანალიზეთ და იმ დასკვნამდეც მივედით, რომ მომდევნო რომპაპად იოზეფ რატცინგერი უნდა აერჩიათ. თუმცა გლობალიზაციის სულ უფრო და უფრო ყოფლისმომცველი პროცესის მიუხედავად, რამდენადმე დაუჯერებელი ჩანდა, რომ იტალიელთა ხუთსაუკუნოვან შემოღობილში ისევ უცხოელი შეიჭრებოდა და პონტიფიკოსის ტახტს ზედიზედ მეორე არაიტალიელი დაიკავებდა, მაგრამ ჩემი სტუდენტების გასახარად და ჩემდა საამაყოდ, ეს სწორედ ასე მოხდა.

ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, ვის მოუგო და რამდენი ხმით იოზეფ რატცინგერმა, რომელმა კარდინალმა მისცა ხმა და რომელმა არა. ფაქტი ერთია, კარდინალთა კონკლავმა იოანე-პავლე II-ის გზას მისცა ხმა: რატცინგერი, რომელიც ლამის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვატიკანის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციას — რწმენის დოქტრინის კონგრეგაციას ხელმძღვანელობდა და რომელიც კარდინალთა კოლეგიას ედგა სათავეში, იოანე-პავლე II-ის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე იყო.

იოზებ რატცინგერმა „მშვიდობის მოციქულად" წოდებული ბენედიქტე XV-ის პატივსაცემად ბენედიქტე XVI დაირქვა. იგი ყველაზე ხანდაზმული რომპაპი აღმოჩნდა არჩევის მომენტისათვის ბოლო სამი საუკუნის მანძილზე. ამავე დროს ბოლო 450 წლის მანძილზე ის იყო კარდინალთა კოლეგიის პირველი დეკანი, რომელიც რომპაპად აირჩიეს და პირველი პონტიფიკოსი სამი საუკუნის მანძილზე, რომელსაც კარდინალობის მეოთხედსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა. სხვათა შორის, მისი ის წინა მოსახელე, ბენედიქტე XV სულ სამი თვის აღზევებული იყო კარდინალად, როცა რომპაპად აირჩიეს 1914 წელს. მან 7 წელი და 5 თვე იმეფა. ბენედიქტე XVI-ის არჩევიდან ოდნავ მეტი — 7 წელი და 10 თვეა გასული...

იოზეფ ალოიზ რატცინგერი 1927 წლის 16 აპრილს დაიბადა ბავარიის სოფელ მარკტლში პოლიციელის ოჯახში. შეიძლება ითქვას, რომ არცერთ რომპაპს არ ჰქონია ასეთი წინააღმდეგობრივი ბიოგრაფია: ჰიტლერიუგენდის წევრი, საზენიტო ბატალიონის ჯარისკაცი, ავსტრიის ლეგიონისა და მიუნხენის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მებრძოლი, მერე დეზერტირი და სამხედრო ტყვე, მიუნხენის უნი-



ვერსიტეტის სტუდენტი, მღვდელი, თეოლოგიის დოქტორი... სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობას შეეხებოდა, ალოიზ რატცინგერმა 26 წლისამ დაიცვა და სწორედ მაშინ მას ღვთისმეტყველების მოცარტი უწოდეს. მერე იყო პროფესორობა ბონისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში. 45 წლისამ დააარსა თეოლოგიური ჟურნალი **Communio**, რომელიც დღესაც არსებობს. 1977 წლის 24 მარტს დაინიშნა მიუნხენისა და ფრაიზინგის არქიეპისკოპოსად, იმავე წლის 27 ივნისს, 50 წლისა, გახდა კარდინალი, ყველაზე ახალგაზრდა კარდინალი იმ დროისათვის. 54 წლისა იოანე-პავლე II-მ „მთავარ ინკვიზიტორად" დანიშნა, — სათავეში ჩაუყენა წმინდა ინკვიზიციას, რომელიც 1908 წლიდან რწმენის დოქტრინის კონგრეგაციად იწოდება. 2002 წელს კარდინალთა კოლეგიის დეკანად დაადგინეს... სწორედ ამ რანგში მყოფი ხელმძღვანელობდა იგი წინამორბედი რომპაპის დაკრძალვის ცერემონიალს 2005 წელს.

მერე თავად აირჩიეს რომპაპად და პირველი გერმანელია წმინდა ტახტზე უკანასკნელი 500 წლის მანძილზე.

ბოლოს კი იყო 2013 წლის 11 თებერვალი. არა ისეთი ტრაგიკული, მაგრამ ისეთივე შოკისმომგვრელი მთელი მსოფლიოსათვის, როგორიც 11 სექტემბერი.

ოტრანტოელ წამებულთა კანონიზაციის ცერემონიალზე, რომელსაც კანდინალთა კოლეგიის წევრებიც ესწრებოდნენ, რომპაპმა გამოაცხადა, რომ 28 თებერვალს გადადგებოდა! ხანდაზმულობისა და სნეულობის გამო, ეკლესიის საკეთილდღეოდ — ასე განმარტა ბენედიქტე XVI-მ თავისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი. მერე ლათინური სიტყვებიც მოიშველია — **Ingravescentem aetatem** — ასაკის ტვირთის დამძიმების გამო. სწორედ ასე ჰქვია რომპაპ პავლე VI-ის საგანგებო რესკრიპტს, რომელიც 1970 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში და რომლის თანახმად 80 წელს გადაცილებულ კარდინალებს საარჩევნო უფლება ჩამოერთვათ.

განცხადება რომპაპის გადადგომის შესახებ მეხის გავარდნას ჰგავდა. „ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე" — ასე უწოდა კარდინალთა კოლეგიის დეკანმა ანჯელო სოდანომ ბენედიქტე XVI-ის 11 თებერვლის განცხადებას.

მეხი კი იმ საღამოს მართლა გავარდა: რომპაპის განცხადებიდან ორიოდე საათიც არ იყო გასული, რომ ამინდი შეიცვალა, რომის თავზე ჭექა-ქუხილი ატყდა, იელვა და დიდძალი ხალხი გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ დაეცა წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათს მეხი! რომის მეტეოროლოგიურ ისტორიაში მსგავსი მოვლენა ვერ მოიძებნა, სამაგი-



ეროდ ჟურნალისტებმა და სიმბოლო-მინიშნებათა მოყვარულებმა სასწრაფოდ დაძებნეს ანალოგები ბიბლიაში:

*„შეიქნა გრგვინვა და მეხის ტეხა, ჩამოწვა მთაზე ზრქელი ღრუბელი და გაისმა საყვირის ხმა, ძალზე ძლიერი. შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი", — ვკითხულობთ „გამოსვლაში" (19, 16).*

ხოლო იობის წიგნში წერია:

*„აჰა, მაღალი ღმერთი და ვერ შევგიცნია; აღურაცხელია მისი დროჟამი. შემოიკრებს წყლის წვეთებს და წვიმად და ორთქლად აფრქვევს მათ; რაც ღრუბლებიდან იღვრება, ხალხთა სიმრავლეს ესხურება; თუ მიხვდება ვინმე ღრუბელთ ხლეჩას, ჭექა-ქუხილს მისი კარვიდან? აჰა, გამოუტევებს ნათელს თავის გარშემო და ჩამალავს ზღვის უფსკრულებში; რადგან მით განსჯის ხალხებს და უხვად იძლევა საზრდოს; ელვა ფარავს მის ხელებს და გზავნის მას მტრების წინააღმდეგ; თავისი გრგვინვით აცხადებს თავს, ჯოგი წინათგრძნობს მის მოახლოებას. ამის გამოც მიფრთხის გული და საგულედან ამოვარდნას ლამობს. უსმინეთ, კარგად უსმინეთ გრგვინვაში მის ხმას და ქუხილს, მისი პირიდან გამომავალს! მთელს ცისქვეშეთში აჭექებს მას და მისი ელვა ქვეყნიერების კიდეებს სწვდება; მას მერე დაიქუხებს, დაიგრიალებს დიდებულ ხმაზე და არ შეწყვეტს ელვას, როცა ისმის მისი ქუხილი. გრგვინავს ღმერთი თავის საკვირველ ხმაზე, ქმნის სიდიადეთა, რომელთა შეცნობა ჩვენ არ ძალგვიძს" (36, 26-33; 37, 1-5).*

ბიბლიის ამ ადგილებში ელვა და ჭექა-ქუხილი ადამიანებთან შესახვედრად ღმერთის მოსვლას ახლავს თან. რისი ნიშანია იგი ამჯერად, დრო გამოაჩენს.

— იმის მიუხედავად, როგორ განვიხილავთ ასეთ თანხვედრას, როგორც სიმბოლურს, თუ როგორც შემთხვევითს, 11 თებერვალი ისტორიაში მაინც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, — ამბობს ბლოგერი ნიკოლაი სტარორუსსკი.

ინტერნეტფორუმებზეც ერთი ამბავი ატყდა:

— ის კი არ გადადგა, გაეცალა...

— და თქვენ ფიქრობთ, რომ გაეცალო მათ, ვისაც სწამს თქვენი, უფრო პატიოსანი და ღირსეული საქციელია, ვიდრე მათთან ერთად ევნო და ეწამო? ეს იგივეა, გოლგოთის გზაზე ქრისტეს რომ ეთქვა, დავიღალე, თავი დამანებეთ, მეყო, რაც თქვენთვის ვეწამე, მონასტერში უნდა წავიდეო... რომის კათოლიკეებს პაპის გრძელ ტიტულატურაში ხომ „ქრისტეს მოადგილეც" უწერიათ...

— ჰოდა, თავისი გადადგომით ბენედიქტემ გვაჩვენა, რომ მისი ტიტულატურა შესამოკლებელია. არ შეიძლება ვინმე, თუნდაც რომის პაპი, ქრისტეს მოადგილე იყოს!

— კი, მაგრამ მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

— არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ ხომ მოგვცა ამის თქმის საბაბი და მიზეზი? არ შეიძლება, ისეთ დიდ თეოლოგს, როგორიც ბენედიქტე XVI-ეა, ეს არ გაეთვალისწინებინა.

ინტერნეტსივრცეში ერთბაშად გაახსენდათ ეგრეთწოდებული „წინასწარმეტყველება რომპაპებზე", რომელიც ირლანდიელ წმინდანს მალაქიას მიეწერება. ამ თხზულების მიხედვით, ბენედიქტე XVI ბოლოსწინა რომპაპია, მის შემდეგ რომპაპი იქნება პეტრე, მის ხელში კი ქვეყნის აღსასრული დადგება. მალაქიას წინასწარმეტყველებამ, რომელიც, მეცნიერთა მიერ სულაც მისტიფიკაციად არის მიჩნეული, ინტერნეტმოსახლეობის გაცხოველებული ინტერესი იმადაც გამოიწვია, რომ რომპაპობის კანდიდატთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სავარაუდო გახლავთ 64 წლის განელი კარდინალი, წმინდა ტახტის „სამართლიანობისა და მშვიდობის" საბჭოს თავმჯდომარე პიტერ, ანუ პეტრე ტარკსონი.

ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ისიც კი დაპოსტა, ბენედიქტე XVI იმიტომ გადადგა, რომ შანსი ჰქონოდა, სამყაროს დასასრული საკუთარი თვალით ენახაო :)

თუმცა ვირტუალური სივრცის რეაქცია უფრო სწრაფი იყო, რომპაპის განცხადებას მყისიერად მოჰყვა შეფასებები რეალურ სივრცეშიც:

— რომპაპის გადაწყვეტილება, რვაწლიანი პონტიფიკოსობის შემდეგ უარი თქვას სამოციქულო ტახტზე არაჩვეულებრივად ვაჟკაცური და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული ჟესტია და მე მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი დიდი პატივისცემა მისადმი, — განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ.

— რესპუბლიკა მიესალმება რომპაპს, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობს, — თქვა საფრანგეთის ტელევიზიით გამოსვლისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა.

— მან მძიმე გადაწყვეტილება მიიღო, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 11



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გამოცხადებულ გადადგომათა ქრონიკები

თებერვალსვე, — 2005 წელს, როცა იგი რომპაპად აირჩიეს, მთელი გერმანია სიამაყით აღივსო, რაკიღა ჩვენი თანამემამულე ამდენი ხნის შემდეგ კვლავ აღზევდა წმინდა ტახტზე. ჩემთვის დაუვიწყარი იყო მისი გამოსვლა გერმანიის ბუნდესტაგში 2011 წლის სექტემბერში. თავის სიტყვაში მან ჩამოყალიბა ჩვენი, როგორც პოლიტიკოსების უმნიშვნელოვანესი ამოცანები, — ვემსახუროთ კანონს და ვებრძოლოთ უსამართლობას. ეს ჩვენი პარლამენტის ვარსკვლავური საათი იყო. ჩემთვის მის ამ სიტყვებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

(საინტერესოა, რომ გერმანიის მოსახლეობის თითქმის მესამედი კათოლიკეა. თავად ანგელა მერკელი კი პროტესტანტი გახლავთ.)

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა და ისრაელის აშკენაზების მთავარმა რაბინმა იონა მეცგერმა სინანული გამოთქვეს რომპაპის გადაწყვეტილების გამო და მადლობა გადაუხადეს მას რელიგიებს შორის კავშირის განმტკიცებასა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მიმართული სიტყვებისა და საქმისათვის. ბენედიქტე XVI-მ თავისი პონტიფიკატის განმავლობაში მოახერხა გაეფანტა ის შიში და ეჭვი, რომლითაც ისრაელში შეხვდნენ გერმანელი კარდინალის, თანაც ჰიტლერიუგენდის ყოფილი წევრის რომპაპად არჩევას. ისრაელში მოწონებით მიიღეს მის შრომა „იესო ნაზარეველი“, რომელშიც პონტიფიკოსი არგუმენტირებულად უარყოფს ქრისტეს სიკვდილში ებრაელთა კოლექტიურ ბრალს. ოთხი წლის წინათ, როცა მან მიწაწმინდა მოილოცა, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალსაც ეწვია. თუმცა ისრაელში ისიც ახსოვთ, რომ მან გამოთქვა რომპაპ პიუს XII-ის კანონიზაციის სურვილი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ეჭირა წმინდა ტახტი. გარდა ამისა, ლამის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე მივიდა საქმე, როცა ბენედიქტე XVI-მ ეპისკოპოსის ხარისხში აღადგინა რიჩარდ უილიამსონი, რომელმაც მანამდე სახალხოდ გამოთქვა ეჭვი ჰოლოკოსტის მასშტაბების თაობაზე.

ბენედიქტე XVI-ის პონტიფიკატი სულაც არ ყოფილა უღრუბლო და უპრობლემო. ჰოლოკოსტთან დაკავშირებული სერიოზული უსიამოვნებები არაფერია იმ კონფლიქტთან შედარებით, რაც რომპაპს მუსულმანურ სამყაროსთან მოუვიდა.

2006 წლის 12 სექტემბერს ბენედიქტე XVI-მ რაგენსბურგის უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა გონის როლის შესახებ ქრისტიანობასა და ისლამში. შეეხო იგი წმინდა ომების კონცეფციასაც. მან სხვათა შორის მოიხმო XIV საუკუნის ბიზანტიელი იმპერატორის მანუელ II-ის სიტყვები: „მაჩვენეთ, რა მოიტანა ახალი მუჰამედმა და აღმოაჩენთ ისეთ ბოროტ და არაადამიანურ რამეებს, როგორიცაა მისი ბრძანება, მახვილით გაავრცელონ რწმენა, რომელსაც იგი ქადაგებდა“. და თუმცა რომპაპმა ორჯერ გაუსვა ხაზი, რომ ეს სიტყვები ციტატა იყო, მის ნათქვამს მწვავე რეაქცია მოჰყვა მუსულმანურ სამყაროში. იქამდე, რომ ისტორიის მისეული აღქმა ჰიტლერისა და მუსოლინის პოზიციას შეადარეს, ხოლო მის ზოგიერთ გამონათქვამში ჯვაროსნული ომებისკენ მოწოდება დაინახეს. ვატიკანის ახალდანიშნულმა სახელმწიფო მდივანმა ტარჩიზიო ბერტონემ ორი დღის შემდეგ ოფიციალურად უარყო რომპაპის ლექციის ასეთი ინტერპრეტაცია, ხოლო თავად ბენედიქტე XVI უახლოეს საკვირაო წირვისას, იძულებული გახდა, სინანული გამოეთქვა მის სიტყვაზე მუსულმანური სამყაროს რეაქციის გამო.



ერთ ხანს ბენედიქტე XVI-ს ვინმე სუზანა მაიოლო გადაეკიდა. ეს იტალიელი ქალბატონი ზოგმა შეშლილად მიიჩნია, ზოგმა — ფანატიკოსად, ზოგმა — ტერორისტად. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ალი მეჰმეტ აღჯა, რომელმაც 1981 წლის 13 მაისს წმინდა პეტრეს მოედანზე იოანე-პავლე II-ს ესროლა და რომელმაც უკვე მას შემდეგ, რაც მისი მსხვერპლის შუამდგომლობით სამუდამო პატიმრობიდან გაათავისუფლეს, თქვა, რომ ტერორისტულ აქტში ბულგარული სპეცსამსახურები და საბჭოთა კაგებე იყო ჩარეული. აღჯასთან მართლა რა მოსატანია, მაგრამ იტალიელმა შეშლილ-ფანატიკოს-ტერორისტმა საკმაო უსიამოვნება მიაყენა ბენედიქტე XVI-ს: ჯერ იყო და, 2008 წელს, საშობაო მესის შემდეგ სენიორა სუზანა რომპაპისკენ გაიჭრა და კბენა დაუპირა, მაგრამ მისი მცდელობა დროულად აღკვეთეს. ერთი წლის შემდეგ კი მან მეტი მოახერხა — რომპაპს მიეჭრა, ტანსაცმელზე მოქაჩა და ძირს დასცა. თან მის გვერდით მდგარი კარდინალი როჟე ეჩეგარაიც წამოაქცია. თუმცა ბენედიქტე XVI იოლად გადარჩა, წამოდგა და ღვთისმსახურება გააგრძელა, კარდინალი ეჩეგარაი სერიოზულად დაშავდა — მან თეძო მოიტეხა. 2010 წლის 13 მაისს (!) ბენედიქტე XVI-მ სუზანა მაიოლო რეზიდენციაში მიიღო და მიუტევა.

სწორედ იმ ხანად თავის პიკში იყო სკანდალი კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურთა შორის პედოფილიის ფაქტების გახშირებისა და გამოაშკარავების გამო. 2010 წლის 10 აპრილს მალტაზე ვიზიტად მყოფი რომპაპი შეხვდა მღვდელმსახურთა მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ და თავისი „სირცხვილი და მწუხარება“ გამოხატა, ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ პორტუგალიაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ცოდვის სათავე თავად ეკლესიის წიაღშია. 2010 წლის 23 აპრილს ბენედიქტე XVI-მ მიიღო ბრიუგეს არქიეპისკოპოსის როჟე ვანჰელიუვეს გაგადგომა, რომელმაც აღიარა, რომ წლების წინ სექსუალური ძალადობა განახორციელა ერთ-ერთ ახალგაზრდა კაცზე თავისი გარემოცვიდან. 2010 წლის მარტ-აპრილში პრესაში გამოქვეყნდა მასალები, რომ თითქოს კარდინალობის დროს იოზეფ რატცინგერი პირადად იყო დაკავშირებული პედოფილიის ფაქტების დამალვასთან ბავარიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბევრი ექსპერტი პაპის გადადგომის მიზეზს კათოლიკური ეკლესიის კრიზისში და სწორედ იმ სკანდალებში ხედავს, რომლებიც მისი პონტიფიკატის წლებში ვატიკანს დაატყდა თავს და მღვდელთა შორის პედოფილიის ფაქტები მათგან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ამავე დროს ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ბენედიქტე XVI არ არის ის პიროვნება, რომელიც სირთულეებს გაურბის.

მეორე მხრივ, ვერსია იმის შესახებ, რომ ბენედიქტე XVI-ის გადადგომა გამოწვეულია ეკლესიის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და ეკლესიის კეთილდღეობაზე ზრუნვით, ვატიკანისტთა ერთი წყების აზრით, ერთობ გულუბრყვილოა, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ყველა სხვა რომპაპს ეს გრძნობა დაჩლუნგებული ჰქონია და არც ეკლესიის კეთილდღეობაზე უზრუნია.

თითქოს პედოფილია არ კმაროდა, ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნდა პაპის გადადგომის კიდევ ერთი შესაძლო ვერსია. საქმეში ჩახედული ზოგიერთი ვატიკანისტის აზრით, თითქოს რომპაპმა მას შემდეგ გადაწყვიტა გადადგომა, რაც მას მიაწოდეს ვრცელი დოსიე ჰომოსექსუალისტ მღვდელმსახურთა ქსელის შესახებ, რომელიც ვატიკანსა და მთელ რომს არის მოდებული. პრესაში იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ეს 300-გვერდიანი მოხსენება, მღვდლების და პრელატების სექსუალური დანაშაულობების ამსახველი ფოტო- და ვიდეომასალასთან ერთად რომპაპს გასული წლის 17 დეკემბერს გადასცეს კარდინალებმა ჯულიან ჰერანცმა, ჯოზეფ ტომკომ და სალვატორე დე ჯიორჯიმ. პრესისავე ცნობით, ბენედიქტე XVI-მ საბოლოოდ სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა გადადგომა, ხოლო ის საიდუმლო დოსიე რომპაპის აპარტამენტებში საიმედოდ ჩაკეტა და მემკვიდრეს დაუტოვა თავის ტკივილად. დრო გამოაჩენს, მართლა არსებობს თუ არა ამგვარი დოსიე, მართლა მიაწოდეს თუ არა იგი რომპაპს და მართლა გახდა თუ არა იგი მისი გადადგომის ნამდვილი მიზეზი.

2013 წლის 11 თებერვლის განცხადების შემდეგ ზუსტად ერთი წლის წინანდელი ამბავიც გაიხსენეს. 2012 წლის 10 თებერვალს იტალიურ გაზეთში Il Fatto Quotidiano დაიწერა, რომ თითქოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში რომპაპზე მოსალოდნელი იყო თავდასხმა. გაზეთმა გამოაქვეყნა სენსაციური დოკუმენტი, რომელიც კოლუმბიელ კარდინალს კასტრილონ ოიოსს გადაუცია ვატიკანის სახელმწიფო მდივნისა და რომპაპის პირადი სამდივნოსათვის. დოკუმენტი გერმანულ ენაზეა შედგენილი და 2011 წლის 30 დეკემბრით არის დათარიღებული. მასში, პალერმოს კარდინალის პაოლო რომეოს სიტყვებზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ პონტიფიკოსს მაქსიმუმ 12 თვის სიცოცხლე დარჩა.

და აი, ზუსტად 12 თვის შემდეგ ბენედიქტ XVI-მ მართლა გადაწყვიტა გარდაცვალება. ხვალიდან იგი აღარც ქრისტეს მოადგილე იქნება დედამიწაზე და აღარც მილიარდორასმილიონიანი სამწყსოს წინამძღვარი. ვინ იცის, გარდაცვალებაში იქნებ სწორედ რომპაპობის დასასრულს წინასწარმეტყველებდა ის იდუმალი დოკუმენტი?

**პაატა ნაცვლიშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

◎ მეცნიერის გახსენება

# მოსიარულე სიკეთე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი ენათმეცნიერის ალექსანდრე ღლონტის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა. სხდომის ინიციატორები იყვნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ ქურდაძე) და მასთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძღვანელი, პროფესორი პაატა ცხადაია).**

დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ შესავალ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა ალექსანდრე ღლონტის დამსახურებაზე მეცნიერებაში. რამაზ ქურდაძემ კი წაიკითხა მოხსენება მის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.

მრავალმხრივი მეცნიერი ალექსანდრე ღლონტი არაერთი ფილოლოგიური დარგის ფუძემდებელი იყო საქართველოში, რაც ერთხმად აღნიშნეს გამომსვლელებმა. მათი მოხსენებები ეხებოდა იუბილარის მოღვაწეობის კონკრეტულ მხარეებს: ალექსანდრე ღლონტი და ქართული ონომასტიკა (პაატა ცხადაია), ალექსანდრე ღლონტი — ლექსიკოლოგი (გუბაზ გოგატიშვილი), ალექსანდრე ღლონტი როგორც ფოლკლორისტი და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომხსენებლებმა, იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ერთხმად გაამახვილეს ყურადღება მის განსაკუთრებულ პიროვნულ ღირსებებზე, მის კაცთმოყვარეობასა და საოცარ გულისხმიერებაზე, მას მოსიარულე სიკეთეც კი უწოდეს.

სამეცნიერო მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: ზურაბ ჭუმბურიძე, თედო უთურგაიძე, მარიკა ჯიქია.

საჯარო სხდომაზე გაიმართა ქეთევან გოდერძიშვილის წიგნის — „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხების“ — წარდგინება. ქალბატონმა ქეთევანმა მონოგრაფია ალექსანდრე ღლონტს უძღვნა, რომელიც მეცნიერთა მიერ აღიარებულია ქართული ანთროპონიმიკის ფუძემდებლად. წიგნი დადებითად შეაფასეს პროფესორებმა: დამანა მელიქიშვილმა, პაატა ცხადაიამ, მაია კოპაძე-კვეზერელმა და სხვებმა.

სხდომის დასასრულს ალექსანდრე ღლონტის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: გორის უნივერსიტეტის პროფესორი შოთა ქურდაძე, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე, ზუგდიდის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია; პროფესორები: ოთარ ქაჯაია, ალექსანდრე ფოცხიშვილი, ალექსანდრე ლორია; ექიმი- პროფესორი ხუტა პაჭკორია.



მეგობრები იოსებ მეგრელიძე და ალექსანდრე ღლონტი.

დაბოლოს, მოგონებით გამოვიდა ალექსანდრე ღლონტის შვილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან ღლონტი, რომელმაც სახელოვანი ბაბუის ამაგი გაიხსენა. განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია იმან, რომ ბავშვობაში, პეტერბურგში ყოფნისას ბაბუას დაჰყავდა შვილიშვილები თავისი დიდი მასწავლებლის — ნიკო მარის საფლავზე. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ალექსანდრე ღლონტის საგულისხმო პიროვნული თვისება — მოძღვრისადმი (და, საერთოდ, მოძღვრებისადმი) საოცარი მოწიწება და პატივმიგება.

**თამარ შაიშმელაშვილი**

# დედამიწის ზურგზე

**ეგვიპტის მეფეთა ველის თავზე ექსკურსიის დროს აფეთქდა და ჩამოვარდა საჰაერო ბურთი: დაიღუპა 19 ტურისტი**

სულ ატრაქციონზე ოცი ტურისტი მონაწილეობდა, მათთან იყო ერთი მფრინავი. ბურთი დაახლოებით 300 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა შაქრის პლანტაციაში. ინციდენტის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო მოწყვეტილი შლანგი, რომლითაც გაზი მიეწოდებოდა.

**ბერლინში ლავროვისა და კერის შეხვედრა: პრესამ გაიგო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ჩიხიდან შესაძლო გამოსვლისა და „საბავშვო პრობლემატიკის“ შესახებ**

ჯონ კერი სერგეი ლავროვს პირველად შეხვდება სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგში, თუმცა 1 თებერვლიდან მათ ორჯერ ისაუბრეს ტელეფონით. მხარეები განიხილავენ მდგომარეობას სირიაში, ვითარებას კორეის ნახევარკუნძულზე, ირანის ბირთვულ პროგრამას და ორმხრივ ურთიერთობებს — დაწყებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და განიარაღების საკითხიდან რუსეთის ფედერაციიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვების შვილობის სიტუაციით დამთავრებული.

**კანადამ პირველად მსოფლიოში გაუშვა ორბიტული ტელესკოპი ასტეროიდებისთვის თვალყურის სადევნებლად**

თანამგზავრი დედამიწის მახლობელი ობიექტებისადმი თვალყურის სადევნებლად „ნეოსატი“, დედამიწის შემოფრენის დროს, ყოველ 100 წუთში მოახდენს კოსმოსური სივრცის სკანირებას მზის მახლობლად ასტეროიდების ძებნისთვის, რომელთა აღმოჩენაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია. მის ამოცანაში შედის აგრეთვე ორბიტული „ნაგვისთვის“ თვალყურის დევნება.

**ბერლუსკონის კოალიციამ მემარცხენეებთან 0,4 პროცენტით წააგო და ხელახლა გადათვლას მოითხოვს**

ასეთ უმნიშვნელო სხვაობაზე რეაგირება გამარჯვებულებმაც გააკეთეს. პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატმა მემარცხენე ცენტრიდან პიერ ლუიჯი ბერსანიმ ფრთხილად შენიშნა: „ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენ აღმოვჩნდით მეტად დელიკატურ სიტუაციაში. ვიმოქმედებთ მთელი პასუხისმგებლობით ქვეყნის ინტერესებისთვის“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სტუმარი



# თბილისი 16-წლამდელთა ოლიმპიადას უმასპინძლებს

**საქართველოს დედაქალაქში სტუმრად იმყოფებოდა ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი. პირველ დღეს იგი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანსა და მის პირველ მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილს შეხვდა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძესთან და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი გიორგაძესთან ერთად.** განიხილეს რამდენიმე საკითხი. გადაწყდა, რომ 2015 წელს თბილისი 16 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ოლიმპიადას უმასპინძლებს. ისაუბრეს საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების, თბილისში საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიის ფილიალის გახსნისა და ჭადრაკის სასახლის შესაძლო რეკონსტრუქციის შესახებ.

„საქართველოში ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ. ამჯერად თქვენს ქვეყანას სპორტის მინისტრის მოწვევით ვესტუმრე. მრავალ საკითხს შევეხეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 16-წლიანთა ოლიმპიადის გამართვაა. საქართველოს საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობის მდიდარი და სასახელო ტრადიცია აქვს. დარწმუნებული ვარ, 2015 წელს ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შეჯიბრებაც მაღალ დონეზე ჩაივლის“, — აღნიშნა ფიდეს პრეზიდენტმა.

**ლაშა დიდია**

რაგბი

# „აიამ“ „ლელო“ დაალელოვა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში „ლელო“ ერთპიროვნული ლიდერია. მე-14 ტურში მან გასვლითი მატჩი ქუთაისში გამართა. შეხვედრას ახალზელანდიელი არბიტრი რიჩარდ კელი მოემსახურა. მასპინძლები პირველ წრეში მარცხისთვის რევანშის წყურვილით გავიდნენ მოედანზე, მაგრამ პირველი იერიშებით სწორედ ლიდერები გამოირჩნენ:** მე-3 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშიც გახსნეს. ამის შემდეგ ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ და მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს ორი გარდასახვითურთ — 24:3. „აიას“ მორაგბეებმა, ეტყობა, საქმე მომთავრებულად მიიჩნიეს და კინაღამ დაისაჯნენ — ლიდერებმა ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს. მატჩის ბოლო წუთებიც მათი უპირატესობით წარიმართა, რამდენჯერმე ჯარიმის დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ პაექრობის მოსაგებად ბურთის გათამაშება ამჯობინეს. „აიამ“ თავის დაცვა და ძნელი გამარჯვებაც (24:20) შეძლო.




**ამავე ტურში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „ჯიქები“ — „ლოკომოტივი“ 15:13, „აკადემია“ — „ყოჩები“ 30:14, „არმია“ — „არმაზი“ 31:18. „ბათუმისა“ და „ხარების“ ორთაბრძოლა გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლელო“ — 57 (389-183), „არმია — 56 (359-210), „აია“ — 46 (380-218), „არმაზი“ — 42 (280-238), „ჯიქები“ — 35 (257-235), „ლოკომოტივი“ — 30 (278-258), „ხარები“ — 20 (191-187), „აკადემია“-18 (141-366), „ბათუმი“ — 15 (207-320), „ყოჩები“— 7 (208-372).

**გივი გაგუა**

სანთელი

# სერგო ძურძუკი



გაისად მისთვის 60 წლის იუბილე უნდა მიგველოცა...

დასანანია, რომ ამიერიდან ფართო დიაპაზონის მოღვაწეს სერგო ძურძუკს წარსულ დროში მოვიხსენიებთ.

გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ დაგვრჩა მის მიერ საფიცარი თბილისისა და საქართველოსადმი მიძღვნილი ძარღვიანი პოეტური სტრიქონები, ესეისტური ნაწარმოებები, რუსულ ენაზე ნათარგმნი ლექსები და საამაყო სპორტსმენთა წყება, მძლეოსნურ ბილიკებზე რომ ასახელეს სამშობლო. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

ჭიდაობა

# „კლასიკოსების“ რვა ჯილდო



**უნგრულ სომბათჰეიში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გრან-პრი გათამაშდა. შეჯიბრებაში 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს 15-კაციანმა დელეგაციამ რვა მედალი მოიხვეჭა, მოაგროვა 90 ქულა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. მასპინძლები ქართველებს 4 ქულით ჩამორჩნენ და მეორე ადგილს დასჯერდნენ. 47 ქულით მესამე ადგილი ხორვატებს ერგოთ.**

საქართველოს ნაკრებს ოქროს მედალი 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიხეილ ქაჯაიამ მოუტანა. მან ზედიზედ ხუთ მეტოქეს აჯობა და ამ პაექრობებში მხოლოდ ქულა დათმო, ისიც თანაგუნდელ სოსო ჯაბიძესთან. ქაჯაიამ ზედიზედ დაჯაბნა მოჰამედ აჰმე (ეგვიპტე) — 2:0, 1:0, უნგრელები — ადამ ვარგა (2:0, 1:0) და გეორგ სიზმაიერი (1:0, 3:0), სოსო ჯაბიძე (2:0, 0:1, 6:0), ფინალში ბალაშ კიში დაამარცხა (1:0, 1:0) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამავე წონაში მესამე იყო სოსო ჯაბიძე.



„ოქროსთან“ ახლოს იყო ევროპის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რევაზ ლაშხი (66 კგ). პირველ წრეში მან უკრაინელ ლენურ ტემიროვს სძლია, შემდეგ თანაგუნდელ საჩინო დავითაიას და სერბ ნატე ნემეშს მოუგო, გადამწყვეტი პაექრობა კი უნგრელ ტამაშ ლორინჩთან დათმო. დამამშვიდებელ ჯგუფში დავითაიამ იოლად დაჯაბნა ტემიროვი, ნემეში და ბრინჯაოს მედალს დაყაბულდა.

ქართველ ფალავნებს „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ 84 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც ხვდათ. ფინალში რევაზ ნადარეიშვილი მასპინძელ პეტერ ბაშჩის ვერ გაუმკლავდა და მეორე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი ვლადიმერ გეგეშიძემ დაიკავა.

სომბათჰეიში კიდევ ერთი ფინალისტი გვყავდა — მძიმეწონოსანი გურამ ფერსელიძე. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩვენებურს უკრაინელმა ევგენი ორლოვმა აჯობა.

ჩვენს დელეგაციას კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორმა და ლონდონის ოლიმპიადის მესამეადგილოსანმა მანუჩარ ცხადაიამ (74) მოუტანა.

საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრები უნგრეთიდან ბელარუსში დაბრუნდა და „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე განაგრძობს 10-დღიან წვრთნას, მერე ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნით ეტაპს ბორჯომში გაივლის, კონტინენტის პირველობას კი 19-24 მარტს თბილისი უმასპინძლებს.

**ლექსო ცინცაძე**

სიტუაცია

# მარადონა იტალიის საგადასახადოსთან 50 მილიონზე დავობს

**ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა იტალიაში ჩავიდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოს დავა ამ ქვეყნის საგადასახადო უწყებასთან.**

მარადონას თქმით, მას გადაწყვეტილი აქვს შეხვდეს საგადასახადო უწყების წარმომადგენლებს, რომლებიც 20 წელია ფეხბურთელს დევნიან.



მარადონას ბრალი ედება თითქმის 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გადასახადების დამალვაში.

იტალიაში წინა ვიზიტისას პოლიციამ მისი საათის, ძვირფასეულობისა და სატელევიზიო შოუში მონაწილეობის ჰონორარის კონფისკაცია მოახდინა.

რომის აეროპორტში ლეგენდარულ ფეხბურთელს ასობით გულშემატკივარი დახვდა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# რა საჭიროა „შმოტკები“?

**საქსონური რადიოსადგური RSA ტრადიციულად აწყობს ციგებით რბოლას... შიშველთათვის. წლეულს აღნიშნულ თვალსასეირო სანახაობას ქალაქ ალტენბერგის 100-მეტრიანმა მოყინულმა ტრასამ უმასპინძლა.**

1000-ევროიანი სოლიდური ფულადი ჯილდოსათვის ტრუსებში, მუზარადებსა და ყელიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი 12 ქალი და 13 ვაჟი იბრძოდა.

**საგულისხმო ფაქტი:** თუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ტურნირის გამარჯვებულმა ნიკო შვარცმა პრიზი მთლიანად ჩაიჯიბა, ლამაზმანთა რჩეულმა — მოდელმა და მომღერალმა ანეტ შნედელბახმა ნადავლი კიბოსთან ბრძოლის ფონდს შესწირა.

სხვათა შორის, წამახალისებელი „ფეშქაშის“ გარეშე არც ახალბედათა სანუგეშო დაშვების ლაურეატი პეგი ვეიტსმანი დარჩენილა. იგი ორგანიზატორებმა 500 ევროთი გაამდიდრეს.

ბუნებრივია, ინიციატორებმა ხარკი მარადიული დილემით დაინტერესებულთაც გადაუხადეს და შერეული რბოლაც გამართეს ორივე სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობით. და იცით, ვინ აჯობა ყველას? დიახ, მართალი ბრძანდებით — ამორძალმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### 100 ბლეფი

# სააკაშვილი ივანიშვილისგან დანაპირების 5 თვეში შესრულებას ითხოვს, როცა თავისი... 5 წელში ვერ შეასრულა

**„100 საწარმოს“ გახსნის ინიციატივა მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2007 წელს, გრემში ჩატარებულ სხდომაზე გააჟღერა. მან თქვა, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, აღნიშნულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. პრეზიდენტის განცხადებით, პროექტის მიღმა მთავრობის არც ერთი წევრი არ უნდა დარჩენილიყო. მისი განხორციელების პასუხისმგებლობა ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს თანაბრად უნდა ეკისრა.**

სააკაშვილი დეტალურად განმარტავდა პროგრამის მნიშვნელობას და არსს: **„ეს არის პროგრამა, რომლის განხორციელების შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ასი ახალი საწარმო შეიქმნება. ეს არის პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი გათვლებით რამდენიმე ათეული და, შესაძლოა, ასეულობით ათასი საქართველოს მოქალაქე დავასაქმოთ. თითოეული საწარმო, სადაც მინიმუმ 200 ადამიანი იმუშავებს, რამდენიმე ათას ადამიანს დაასაქმებს მოწოდების სფეროში. თუ ისეთივე მონდომებითა და სქემით ვიმუშავებთ, როგორც რადიკალური რეფორმების მხრივ ვიმუშავეთ, დამატებით მინიმუმ ასი ათასი სამუშაო ადგილის შექმნა შეგვიძლია სოფლის მეურნეობის სფეროში და აგროსამრეწველო კომპლექსში“,** — აცხადებდა მაშინდელი პრეზიდენტი.

დრო გადიოდა, სააკაშვილის პროექტს კი ფრთები არ ესხმოდა და რეალობად არ გარდაიქმნებოდა. მიზეზი ნაცებს მრავლად ჰქონდათ. საწარმოების გაუხსნელობა 2008 წელს აგვისტოს ომს დაბრალდა, 2009 წელს კი — მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. 2010 წელს დაიწყო საწარმოების გახსნა. თითქმის ყოველთვე სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები ახალ საწარმოს მაკეტს ან ბანერს ხსნიდნენ. სრულიად მოულოდნელად 2011 წელს ხელისუფლებამ დაკარგა ინტერესი ახალი პროგრამის მიმართ და მასზე საუბარი არაპოპულარული გახდა. ასევე მოულოდნელად, მაშინდელი პრეზიდენტის სურვილისამებრ, 2012 წელს დასაქმების გასაზრდელად და უცხო ქვეყნების უცნობ პირებზე სოფლებისათვის ჩამორთმეულ გაყიდულ მიწებზე საწარმოების გახსნა ხელისუფლებისთვის ისევ აქტუალური გახდა.

დაიწყო კომუნისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი საწარმოების გახსნის საზეიმო ცერემონიალებზე წითელი ლენტების გაჭრა და მომავლის იმედიანი დაპირებების გაცემა. ოფიციალურად გაცხადდა, რომ 2007 წელს უკრაინული კომპანია „იაბლოჩნის“ მიერ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში ხილის გადამამუშავებელი კომბინატის ასაშენებლად ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა. კახეთის იმჟამინდელი გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი ადგილობრივებს ჰპირდებოდა, რომ უკრაინელებს 2007 წლიდან კომბინატის მშენებლობაში ჩადებული ჰქონდათ 12 მლნ ევროს ინვესტიცია და საწარმო, რომელიც დღე-დღეზე შევიდოდა ექსპლუატაციაში, 200-300 ტ. ხილს გადაამუშავებდა ყოველწლიურად, თუმცა, ადგილობრივები ვერ ხედავდნენ. როგორც „დღე-დღეზე“ გასაშვები ქარხნის კონტურებს, ასევე უკრაინელ ინვესტორებს. არ ჩანან მთავრობის მიერ დაპირებული ყაზახი, ჩინელი, ჰოლანდიელი და ა. შ. ინვესტორები, ბიზნესგეგმები და დაწყებული სამუშაოები.

ნაცები მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, რომ „100 საწარმოს“ პროექტი მარნეულსა და გორში პომიდვრის გადამამუშავებელ მცირე საწარმოებს ააშენებდნენ. რისი მეშვეობითაც ადგილობრივი ბოსტნეული და მისგან ნაწარმოების პროდუქცია 80 პროცენტით ჩაანაცვლებდა იმპორტულს. ასევე შეუსრულებელი დარჩა დაპირება სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში 175 ათასი დოლარის ღირებულების 6 აგროპროექტის განხორციელების თაობაზე. მთავრობის დაპირებით უნდა მომხდარიყო ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი ყველის, თაფლის, ხორცისა და ბოსტნეულის წარმოება-გაყიდვა.

„ვარდოსნები“ პროექტის ფარგლებში იმასაც გვპირდებოდნენ, რომ 2009-2010 წ.წ. უნდა შექმნილიყო ზეთისხილის საწარმო. ასევე უნდა შექმნილიყო ცხვრის ხორცის გადამამუშავებელი წარმოება.

„100 საწარმოს“ პროექტის ფარგლებში კახეთში 5 ხილის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა იყო დაგეგმილი. მთავრობის ინფორმაციით, ეს პროექტი კახელებს ხილის ჩაბარების პრობლემას მოუხსნიდა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მათ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს.

სპეციალისტთა განმარტებით, „100 საწარმოს“ იდეა მისასალმებელი იყო. ეს ხელს შეუწყობდა საქართველოში ბოსტნეული კულტურების წარმოების გაზრდას, რისი უდიდესი პოტენციალი ქვეყანას გააჩნია. იგივე ექსპერტები თვლიან, რომ ინიციატივა დაბლოკეს სახელისუფლებო წრეებმა, რომლებიც უცხოეთიდან ჩვენთან ბოსტნეულის შემომტან ფირმებსა და პირებს ლობირებდნენ, ეკონომისტთა გათვლებით, დღეისათვის საქართველოში ადგილობრივი ბოსტნეულის წარმოება და, შესაბამისად, ექსპორტიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტს.

იყო ისეთი ფაქტები, როდესაც სააკაშვილის გულის მოსაგებად და სრულიად საქართველოს მოსახლეობისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად პროექტის ფარგლებში ხსნიდნენ ძველ, მიტოვებულ და უმოქმედო საწარმოებს, რომლებსაც ხელისუფლება ახალგახსნილად ასაღებდა. თელავში პეტრე ცისკარიშვილმა ტელევიზიების თანდასწრებით დიდი ზარ-ზეიმით „გახსნა“ საკონსერვო ქარხანა, რომელიც კარგა ხანი მიტოვებული და გაძარცულია, ხოლო დირექტორი წინა ხელისუფლებამ არც ისე დიდი ხნის წინათ დააკავა — აცხადებდა „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის წარმომადგენელი გიორგი მოსიაშვილი.

ეკონომისტები, ექსპერტები, სპეციალისტები „100 საწარმოს“ პროექტს თავიდანვე ბლეფად მიიჩნევდნენ. მათი განცხადებით, საწარმოს გახსნისთვის საჭიროა საბრუნავი თანხა, საკრედიტო რესურსი, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა. აგრეთვე, ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორებისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება. ყველა ამ კომპონენტის არარსებობის გამო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ შეძლო პროექტის განხორციელება, — აცხადებენ საქმეში ჩახედული ადამიანები.

დღეს სააკაშვილი და მისი ნარჩენები საზოგადოებასთან აპელირებენ, რომ ივანიშვილი და მისი გუნდი 5 თვის განმავლობაში ვერ ან არ ასრულებს მოსახლეობისათვის გაცემულ დაპირებებს. ამას გაჰკივიან ისინი, რომელმაც დანაპირები 5 წელიწადში (კონკრეტულ შემთხვევაში, თორემ 9 წლის განმავლობაში) ვერ შეასრულა.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პროექტის ჩავარდნისა, სააკაშვილმა ღირსების ორდენებით დააჯილდოვა „100 საწარმოს“ ინიციატორები და ორგანიზატორები.**

**ზ. ბ.**

### პროტესტი

# აქცია ჩინურ კომპანია „ხუალინთან“

**კახეთში გლეხებს ხომ ჩამოართვეს მიწები და წაართვეს მუშაობის უფლება? ხომ ჩამოიყვანეს ჩინელები და ინდოელები? და დღეს ისინი დედოფლისწყაროში ჯგუფ-ჯგუფად დადიან, ზოგი ტრანსპორტით, ზოგი ფეხით და სქელტანიანი ინდური რელიგიის ლიტერატურას ასყიდებენ ადგილობრივ მოსახლეობას, ბევრსაც ჩუქნიან ......სხვათა შორის, დედოფლისწყაროში იელოვას უამრავი მიმდევარია, ძირითადად, საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებლები, ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი ამ ექვს სოფელში ქრისტიანული ეკლესიის არარსებობაა...რელიგიური უმცირესობები ძალიან საეჭვოდ გააქტიურდნენ....ინდოელები უკვე დამკვიდრდნენ დედოფლისწყაროში, და ახლა თავიანთი რელიგიის პროპაგანდა და ლიტერატურის გავრცელება დაიწყეს.**

საინტერესოა, თავიანთ ქვეყანაში ინდოელები მოგვცემენ უფლებას, ჩვენი — ქრისტიანული რელიგია ვიქადაგოთ და ლიტერატურა გავავრცელოთ? ასეთ ტექსტებს ფეისბუქზე ხშირად შეხვდებით. საქართველოს მოსახლეობას სერიოზულად აშფოთებს უცხოელებზე მიწების მიყიდვის ფაქტები და პროტესტს გამოხატავს ამ ტენდენციის წინააღმდეგ.

თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, მე-40 საჯარო სკოლის ყოფილ შენობასთან განთავსებულ ჩინურ კომპანია „ხუალინის“ ოფისთან, ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტის“ ორგანიზებით, საპროტესტო აქცია გაიმართა.

მომიტინგეები ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩინურ კომპანია „ხუალინთან“ წლების წინათ გაფორმებული ხელშეკრულებების განსაჯაროებას, სავიზო რეჟიმის გამკაცრებას და საქართველოში შრომითი მიგრანტების შემოსვლის აკრძალვას მოითხოვდნენ.

აქციის ორგანიზატორთა თქმით, საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, იგეგმება თუ არა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულ საცხოვრებელ სახლებში ჩინეთის 126 ათასი მოქალაქის ჩასახლება.

ამ მოთხოვნებით ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტის“ წევრები აქციის ორგანიზებას ისევ გეგმავენ, თუმცა, როდის — ზუსტი თარიღი ამ ეტაპზე უცნობია. ამასობაში ფეისბუქზე გავრცელდა ასეთი პოსტი:

„ვინც ქართველების გაჭირვებით ისარგებლებს და ჩვენს მიწებს უცხოელებს მიჰყიდის, ის და მისი მოდგმა შეჩვენდეს და ეკლესიის წიგნში ჩაიწეროს, როგორც სამშობლოს მიწის გამყიდველი და გამოცხადდეს ერის მოღალატედ“, — მეგობრებო, ყველამ გადაიწერეთ ეს ფოტო და კომენტარებში ყველგან ჩაურთეთ, რომ გამოვაცხადოთ საზოგადო პროტესტი — ჩვენს მიწებზე უცხოტომელების მასობრივად ჩამოსახლებისა და საარჩევნო ხმის უფლებით დამკვიდრების გამო.

**ნატა ნიბლაძე**




### ინფორმაცია

## არამდგრადი ამინდი მარტის დასაწყისშიც შენარჩუნდება

**საქართველოში არამდგრადი ამინდი მარტის დასაწყისშიც შენარჩუნდება, — ამის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძე იტყობინება.**

მისი ინფორმაციით, ხვალ გამოიდარებს, თუმცა, 28 თებერვლიდან საქართველოს მასშტაბით, მოსალოდნელია ნალექი წვიმის სახით, ხოლო პირველი მარტიდან ტემპერატურა კიდევ უფრო დაიკლებს და წვიმა შენარჩუნდება. დასავლეთ საქართველოში დღეს მოსალოდნელია 18 გრადუსი სითბო, ხოლო აღმოსავლეთში - 10 გრადუსი სითბო.

რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში დღეს სინოპტიკოსები მცირე წვიმასა და ნისლს პროგნოზირებენ.

### ჩვენი კარაბადინი

## მხოლოდ ანალიზი საკმარისი არ არის

**მითხარით, გეთაყვა, ნუთუ ყოველთვის ცუდი იმუნოლოგია არის სერიოზული დაავადების მაჩვენებელი? და, საერთოდ, როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი?**

**ვიოლეტა ჩუბინიძე, თბილისი**

**გვიპასუხებს იმუნოლოგი, პროფესორი თენგიზ ჩაჩუა:**

— თუ იმუნოგრამა აფიქსირებს იმუნიტეტის დაბალ მაჩვენებლებს, ადამიანი კი თავს ნორმალურად გრძნობს, მკურნალობა საჭირო არ არის. ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა ციფრებზე ანალიზში, არამედ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს დაავადება. მაგალითად, ნორმიდან იმუნოლოგრამის მაჩვენებლების გადახრის ერთ-ერთი ვარიანტია ეგრეთ წოდებული ტრანზისტორული მეორადი იმუნოდეფიციტი. ის შეიძლება გამოჩნდეს და გაქრეს ეპიზოდურად, სხვადასხვა ვითარების შესაბამისად. ამიტომ დიაგნოზის დაფუძნება მხოლოდ ანალიზზე არ შეიძლება. საჭიროა, როგორც მინიმუმი, ორი გაზომვა — 2-3 კვირაში ინტერვალით.

ამავე დროს ყოველი ადამიანისთვის თავად იმუნოგრამის მაჩვენებლები ინდივიდუალურია. ამიტომ, ჯერ უნდა მიდიოდეს კლინიკური სიმპტომები, და მხოლოდ შემდეგ — გაზომვა. მხოლოდ ქრონიკული ინფექციურ-ანთებითი პროცესის არსებობა, რომელიც ძნელად ექვემდებარება სტანდარტულ მკურნალობას, არის მეორადი იმუნოდეფიციტის ძირითადი კლინიკური გამოვლინება და მაჩვენებელი იმუნიტეტის სტიმულირებისთვის.

## ბალზამი „კიმი“ გაციებისა და გრიპის დროს

**ხშირად ვცივდები, ამიტომ გთხოვთ, დაწვრილებით ამიხსნათ, შეიძლება თუ არა როგორმე უკვე პირველი სიმპტომების დროს თავი დავაღწიო გაციებით დაავადებებს?**

**მარინე ღლონტი, ახალციხე**

**გვიპასუხებს პროვიზორი თ.ბლიაძე:**

— გაციების პირველი სიმპტომების დროს რეკომენდებულია გამოიყენოთ ბალზამი „კიმი“. ძილის წინ მიიღეთ ცხელი აბაზანა ან ცხელი შხაპი და დაიზილეთ ზურგი, მკერდი და ტერფები ბალზამით „კიმი“, შეიფუთნეთ, ჩაიცვით შალის წინდები და — თბილი საწოლისკენ. სურდოს დროს ბალზამ „კიმს“ ისვამენ ცხვირის ფუძიდან ჰაიმორული იღლიებისკენ, ოღონდ აკურატულად, რომ თვალში არ მოგვხვდეს. „კიმის“ შემადგენლობაში შედის ევკალიპტისა და პიტნის ნატურალური ეთერზეთები, აგრეთვე, ქაფური, ის ძალიან მიესადაგება ინჰალაციას. წამალი „კიმ“-ბალზამი რეკომენდებულია მოზრდილთათვის და ბავშვებისთვის 5 წლიდან სიმპტომატურ საშუალებად გაციების იმ დაავადებათა კომპლექსურ თერაპიაში, რომლებსაც თან ახლავს ცხვირის გაბინდვა, თავისა და კუნთების ტკივილი, აგრეთვე, ტკივილი სახსრებში.

## ოსტეოქონდროზი ცეკვას ხელს არ უშლის

**მაქვს პრობლემები ზურგთან დაკავშირებით — ქრონიკული ტკივილები ქვედა ნაწილში. ძალიან მინდოდა, რომ ცეკვაზე ჩავწერილიყავი. მაგრამ არ ვიცი, თუ შეიძლება საერთოდ ზურგთან დაკავშირებული პრობლემების დროს ცეკვა? თუ — კი, რომელი მიმართულებაა უფრო უხიფათო?**

**ნანა წაქაძე, ხაშური**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლიანა თეთრაძე:**

— ოსტეოქონდროზის დროს სასარგებლოა ავითვისოთ ფლამენკო. ესპანელი ბოშების ეს ამაყი, ვნებიანი ცეკვა წვრთნის იდეალურ ტანადობას, ზურგს ხდის პირდაპირსა და ძლიერს. ამ ცეკვის დროს მეტად მოძრავია მხრები, ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა მათს დამუშავებას. ფლამენკოს განმასხვავებელი ნიშანია — კისრის მკვეთრი, ფიქსირებული ტრიალი — ეს კი არის პრობლემების პროფილაქტიკა ხერხემლის კისრის განყოფილებაში.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## მილოცვა



პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის ეტალონს, მაღალი ზნეობით, დიდსულოვნებით, თავმდაბლობით გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენი ეროვნული მონაპოვრის დიდ ქომაგს, მეცნიერ-მკვლევარს, უანგარო მამულიშვილს, მეგობარს, რაჭის ჭეშმარიტ მკვიდრს, ოჯახიშვილს ბატონ **ლევან ფრუიძეს** ვულოცავთ დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. ნიკორწმინდის მადლი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

უფალმა შეგაძლებინოთ ბევრის გაკეთება ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

**რეზო ჩხეიძე, ბონდო კალანდაძე, ელდარ ბუბულაშვილი, ინეზა მაისაია, თამაზ ბიბილური, მედეა თავდიდიშვილი, რეზო გორდეზიანი, ვახტანგ გოილაძე, გელა საითიძე, გურამ ყორანაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, ანზორ სიჭინავა, გიორგი სარაჯიშვილი, თემურ ღლონტი, ელდარ ნადირაძე, ვაჟა გოგეჯიშვილი, ანზორ გოგიაშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ოთარ ჟორდანია, ავთანდილ არაბული, გურამ თაყნიაშვილი, გიორგი გაბუნია, ოთარ კერვალიშვილი.**

## თავის მოვლა

# როცა შედეგი „სახეზეა“

**შემოდგომით, მით უმეტეს ზამთარში, სახის ჯანმრთელი ფერით, დიდებული თმებით და თვალისმომჭრელი ღიმილით ბევრი ქალბატონი ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს. ამ ვითარების გამოსასწორებლად მათ სწორად შერჩეულ მენიუს დახმარებით შევთავაზებთ.**

### კანისთვის

**ცივი ქარისა და ბინებში ზედმეტად მშრალი ჰაერის გამო, კანი აქერცვლას იწყებს, ქუჩასა და სახლში ტემპერატურათა სხვაობის გამო კი შეიძლება სისხლძარღვთა ვარსკვლავები გაჩნდეს. როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა?**

. **თევზეული**. მისი ცხიმიანი ჯიშები შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს ომეგა-3-ს შეიცავენ, რომლებიც კანის ლიპიდური შრის შენარჩუნებას უწყობენ ხელს და ტენს ინახავენ. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ გახურებისას ცხიმის მჟავები იშლებიან, ამიტომ საიმისოდ, რომ სიცივეში კანს სათანადოდ მოუაროთ, მის მოსავლელად მხოლოდ თევზის ისეთი სახეობები გამოგადგებათ, რომლებიც თერმულად არ მუშავდება — ესაა სუში, ქაშაყი და სხვ.

. **წიწიბურა**. ექიმები მას დიდი ოდენობით რუტინის შემცველობის გამო აფასებენ. ეს ნივთიერება კაპილარების კედლებს ამაგრებს და სისხლძარღვთა ვარსკვლავებს წარმოშობის შესაძლებლობას არ აძლევს. რუტინი უწვრილესი კაპილარების კედლებს ამაგრებს, ამიტომ წიწიბურას ფაფა მათთვისაა სასარგებლო, ვისაც ყინვაში ცხვირი უწითლდება. გარდა ამისა, წიწიბურა სისხლის მოძრაობას აუმჯობესებს და ბევრ რკინასაც შეიცავს, ამდენად მის მომხმარებელებს სახის კარგი ფერი გარანტირებული აქვთ.

### ტანისთვის

**ყინვების დადგომასთან ერთად, ჩვეულებრივ, მადა გვემატება. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ შემოდგომასა და ზამთარში ხშირად წონაში ზედმეტად ვიმატებთ. ამისგან თავის ასარიდებლად გირჩევთ საკუთარი კვების რეჟიმი აკონტროლოთ და მენიუში ხშირ-ხშირად შეიტანოთ ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა, კერძოდ:**

**გოგრა**. მეცნიერებმა ცოტა ხნის წინათ დაადგინეს მისი ერთი გასაოცარი თვისება: თურმე მას წონის დაკლებაში თქვენთვის კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია. მკვლევარებმა მრავალწლიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა 20 წელს გადაცილებულმა და უფრო ასაკოვანმა 15 ათასზე მეტმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. სპეციალისტებმა ექსპერიმენტის ყველა მონაწილის გასტრონომიული პრიორიტეტები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ გოგრა წონის შემცირებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით დადებითად კი ეს ბახჩეული ქალის წონის შემცირებაზე მოქმედებს. კერძოდ,



ქალბატონებს, ვინც გოგრას კვირაში სამჯერ მაინც მიირთმევდნენ, წონის კლების მყარი ტენდენცია შეენიშნებოდათ.

**ნიახური**. ამ ბალახმა ღირსეულად დაიმსახურა მთელი მსოფლიოს დიეტოლოგთა პატივისცემა. საქმე ისაა, რომ ნიახური ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელ, ასევე ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც ხელს უშლიან ცხიმების დაგროვებას. სწორედ ამიტომაა, რომ ნიახური გახდომის დიეტების შემადგენლობის აბსოლუტურ უმრავლესობაში შედის.

### კბილებისთვის

**შემოდგომა და ზამთარი — უხასიათობის ხელის შემწყობი პერიოდებია, მაგრამ უგუნებობის დაძლევას თავისუფლად შეძლებთ, თუკი თავსაც გაუღიმებთ ხოლმე და გარშემო მყოფებსაც. მეცნიერებმა დაადგინეს: დაძაბული, არა გულღია ღიმილიც კი სტრესის დაძლევასა და ხასიათის გამოსწორებაში დაგეხმარებათ. საიმისოდ კი, რომ ღიმილი ყოველთვის ლამაზი გქონდეთ, ნუ დაივიწყებთ და მენიუში ხშირ-ხშირად შეიტანეთ ხოლმე:**

**ვაშლი**. სტომატოლოგები გვარწმუნებენ, რომ ვაშლი კბილების ემალის ფერს აუმჯობესებს, კბილებს შუა სივრცეებს ასუფთავებს და კარიესის გამომწვევ მიკრობებს ებრძვის.

**სიმინდი**. ქათქათა, მაგარი და ჯანმრთელი კბილები, რომლებიც ლათინოამერიკელთა უმრავლესობას აქვს — საჭმელად ტრადიციული სიმინდის მოხმარებას უნდა მივაწეროთ, რომელიც მცენარეული წარმოშობის კალციუმითაა მდიდარი.

### თმებისთვის

**ქუდები და ათასგვარი გამათბობელი ხელსაწყო, რომლებიც ჰაერს აშრობენ, ჩვენს თმებზე საკმაოდ ცუდ ზეგავლენას ახდენენ. ამიტომ გირჩევთ მაგიდაზე მუდამ იქონიოთ:**

**საქონლის ღვიძლი**. იგი ბევრ რკინას შეიცავს, რომლის დეფიციტი თმის წვერებს მშრალს და მყიფეს ხდის. ღვიძლის დიდხანს წვა არ ღირს — ხანგრძლივი კულინარიული დამუშავების შედეგად იგი არა მარტო გემოს, არამედ სასარგებლო თვისებებსაც კარგავს.

**ნიგოზი**. ის ბევრ სპილენს შეიცავს, რომელიც თმის ელასტიურობის შესანარჩუნებლადაა აუცილებელი. მაგრამ, გახსოვდეთ, რომ თუკი წონის მომატება არ გინდათ, დღეში 30 კაკალზე მეტს ნუ მიირთმევთ.

**ლალი ხუნდაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან



### „19 აპრილს სააკაშვილი პარლამენტს დაითხოვს“

— **დარწმუნებულია** „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, — მთავრობა შეიძლება უფრო ადრეც დაითხოვოს, 19 აპრილს კი პარლამენტის დათხოვნას გეგმავს. ის, რომ ამათ ეს აზრი თავში აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ამით რომ ცდილობენ ახალ მთავრობასთან ვაჭრობას, ამ ინსტრუმენტის გამოყენება-არგამოყენებით, ეს ფაქტია. სამაგიეროდ ითხოვენ ნაქურდალი ქონების შენარჩუნებას. ახალმა მთავრობამ, რა თქმა უნდა, ძალიან მართლზომიერად განუცხადა მათ ცივი უარი ამ საკითხზე.

**„ახალი თაობა“**

### ტოტალიზატორები და სამორინეები იხურება?

**პარლამენტის** თავმჯდომარის სახელზე შესულია პეტიცია, რომლის ავტორები სათამაშო ბიზნესის აკრძალვას ან მაქსიმალურად შეზღუდვას ითხოვენ. პეტიციას ხელს აწერენ როგორც არასამთავრობო, ისე პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. კაზინოების შესაძლო დახურვაზე ცოტა ხნის წინათ თავად პრემიერი ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა. თურქულ მედიაში ივანიშვილმა სწორედ სათამაშო ბიზნესის „სამარცხვინოობაზე“ და მისი აკრძალვის აუცილებლობაზე ისაუბრა. ვნახოთ, არის თუ არა ეს სწორი ინიციატივა.

**„ალია“**

### პოლიტიზირებული სასამართლო თუ კბილაშვილის სისუსტე?

**თბილისის** მერის გიგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების არც ერთი სახე არ შეეფარდა, რასაც ექსპერტთა ნაწილი, როგორც სასამართლოს პოლიტიზირებით, ასევე კბილაშვილის სისუსტით ხსნის. როგორც აღნიშნავენ, პროკურატურის მხრიდან „საქმეების გაფუჭებით“ მთავრობისა და უმრავლესობის იმიჯი შეილახება, პასუხისმგებლობა კი გენერალურ პროკურორს დაეკისრება.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი




## ანეკდოტები

**— ექიმო, ჩემს ცოლთან ღამის განმავლობაში ცხრაჯერ მაქვს სექსი. მითხარით, ეს კარგია თუ ცუდი?**

**— გეტყვით. ეს მეტისმეტი ტრაბახია.**

* * *

**— ხელისუფლება ქვეყნის მოქალაქეებს თავის შვილებად თვლის, თავის თავს კი, ბუნებრივია, მშობლად მიიჩნევს.**



**— ეს მართლაც ასეა. მშობლები ხომ შვილებს იმდენ ფულს აძლევენ, რომ მხოლოდ სადილისთვის ეყოთ.**

* * *

**საღამოსთვის შევამჩნიე, რომ შარვალი მძვრებოდა. აი, ვფიქრობ, როგორც იქნა, დადგა გახდომის ნანატრი დღე! მერე კი შევამჩნიე, რომ ტყუილად გამხარებია — თურმე ღილი ამძრობია...**

* * *

**ქალი მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი არსებაა! თავის ტვინს მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას ძაბავს, მამაკაცის ტვინს კი მუდმივად დაძაბულს ამყოფებს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com